ეროვნული ბიბლიოთეკა


# საჩემპიონო

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 19 სექტემბერი 2001 №178 (1451) | ფასი 50 თეთრი


# ბოლო წუთების ტერორი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

იძულებითი შესვენების მერე გუშინ ლიგა განახლდა. ბურთი იმ გუნდებმა გააგორეს, ამერიკაში დატრიალებული ტრაგედიის გამო პირველი ტურის მატჩები რომ გაუცდათ.

რვიდან ოთხ შეხვედრაში თამაშის ბედი ბოლო წუთებზე გადაწყდა.

ტურინში 2:0 დაწინაურებულ „იუვენტუსს" შოტლანდიურმა „სელტიკმა" 86-ე წუთზე კი გაუთანაბრა, მაგრამ 90-ზე გერმანელი მსაჯის, ჰელმუტ კრუგის დანიშნული პენალტი ნიკოლა ამორუზომ გოლად აქცია და „ბებერ ქალბატონს" სამი ქულა მოუპოვა.

„მანჩესტერმა" „ოლდ ტრეფორდზე" თამაშის მიწურულსღა გამოგლიჯა გამარჯვება ლიგის დებიუტანტ „ლილს". დევიდ ბექემს რომ არ ევაჟკაცა, ფრანგები ბრიტანეთიდან ნანატრ ქულას წაიღებდნენ.

რუმფელდტის 90-ე წუთზე გატანილმა „პორტუს" „რუსენბორგთან" გამარჯვება არგუნა. ლაკორუნიელი ვალერონის ასევე ბოლოსღა შეგდებულმა კი „დეპორტივოს" „ოლიმპიაკოსთან" ქულა გადაურჩინა.

იხილეთ მეორე გვერდი



REUTERS

იუვენტუსი — სელტიკი. ამ ხუთგოლიან თამაშში პირველმა ტურინელმა დავიდ ტრეზეგემ (შუაში) გაიტანა

# სენსაცია: ქართველის სენსაცია!




REUTERS

ანდრე აგასის ეს-ესაა დამამარცხებელი ირაკლი ლაბაძეს ეს წუთები არასოდეს დაავიწყდება

## ATP-ს ტურნირში კარიერაში მეხუთედ მონაწილე ირაკლი ლაბაძემ მოუგო ანდრე აგასის, რომელიც ამდენ ტურნირს წელიწადში იგებს

მსოფლიოს მეჩოგნეთა ლეგიონის უბრწყინვალეს წარმომადგენელს, ამერიკელ ანდრე აგასის ხანგრძლივ კარიერაში არაერთი შეხვედრა წაუგია და ვიდრე ჩოგანს გამოეთხოვება, ალბათ, კიდევ ბევრჯერ მიულოცავს მეტოქეს გამარჯვებას. გუშინდელი მარცხიც კარგა ხანს ემახსოვრება ლასვეგასელს: როგორი საქმეა — მსოფლიოს მეორე ჩოგანმა კლასიფიკაციის პირველ ასეულს მიღმა მყოფ ჩოგბურთელთან წააგო. ჩვენთვის, სახელოვან გამარჯვებებს ასე დანატრებულ ქართველთათვის კი, მისი წაგება მხოლოდ მოულოდნელობა როდია, რადგან დიდ გამარჯვებებს ჩვეული ანდრე 20 წლის თბილისელ ირაკლი ლაბაძესთან შერცხვა. შორეულ ჩინეთში, შანხაიში მიმდინარე ტურნირის პირველ წრეში მსოფლიოს 101-ე ჩოგანმა (ჩემპიონთა რბოლის მიხედვით 166-ემ), ირაკლი ლაბაძემ 7:6, 7:5 დააჩოქა ანდრე აგასი.

„ვფიქრობ, თამაშზე კონცენტრირებული ვიყავი, მაგრამ ბოლო დროს ნანახ ერთ-ერთ საუკეთესო მომწოდებელთან გამკლავება მიწევდა — თქვა ნამატჩევს ნირწამხდარმა აგასიმ — ეს ბიჭი დღეს ჩემზე გაცილებით უკეთ თამაშობდა".

„ირაკლი ლაბაძემ, რომელიც კარიერაში მხოლოდ მეხუთედ მონაწილეობდა ATP-ს ეგიდით გამართულ ტურნირში, მოუგო ანდრე აგასის. აგასი კი ამდენ ტურნირს ყოველწლიურად იგებს" — წერს „როიტერი".

„რა თქმა უნდა, ეს ჩემი კარიერის უდიდესი გამარჯვებაა. მოწოდება ყოველთვის ჩემი მთავარი იარაღი იყო. დღეს დარწმუნებული ვიყავი, რომ პირველი მოწოდების გამოყენების მაღალი პროცენტი მექნებოდა" — თქვა მატჩის შემდეგ ირაკლი ლაბაძემ.

სანამ აგასის გადაეყრებოდა, ლაბაძეს ცხოვრებაში არ უთამაშია არათუ პირველი ათეულის, არამედ ოცეულის წარმომადგენელთან და უცებ მისმა ბადემ ამხელა თევზი კი არა, ვეშაპი ამოაგდო. მეორე წრეში ლაბაძე ამერიკელ ჯასტინ გიმელსტობსა და ტაილანდელ პარადორნ სრიჩაპჰანს შორის გამარჯვებულს შეხვდება. წინასწარ შეუძლებელია იმის განჭვრეტა, რამდენად შორს წავა ირაკლი შანხაის ტურნირში, ერთ რამეს კი წყალი არ გაუვა — იგი უცილობლად შეაბიჯებს მსოფლიო კლასიფიკაციის პირველ ასეულში.

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი

# ჩემპიონთა ლიგა. მეორე ტური

## E ჯგუფი

### იუვენტუსი 3:2 სელტიკი

1:0, 2:0 ტრეზეგე (43, 55), 2:1 პეტროვი (67), 2:2 ლარსონი (86პ), 3:2 ამორუზო (90პ)
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, მონტერო, იულიანო, ძენონი, ტაკინარდი, დავიდსი, პესოტო (ბირინდელი 63), დელ პიერო (ამორუზო 87), სალასი (ონილი 69), ტრეზეგე
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
სელტიკი: დუგლასი, მიალბი, ვალგაერენი, ბალდე, აგატი, ლენონი, ლამბერტი, ტომპსონი (პეტა 57), პეტროვი, ლარსონი, სატონი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
გაძევება: დავიდსი (75), მარტინ ონილი (89, „სელტიკის" მწვრთნელი)
მსაჯი: ჰელმუტ კრუგი (გერმანია)
43 017 მაყურებელი

### როზენბორგი 1:2 პორტუ

0:1 პენა (10), 0:2 დეკო სოუზა (59), 1:2 რუშფელდტი (90)
როზენბორგი: არასონი, ბ. იონსენი (ელ ფაკირი 77), ბასმა, ჰოფტუნი, საარინენი, ო. ბერგი, სკამელსრუდი, რ. სტრანდი, ბრატბაკი, ფ. იონსენი, რუშფელდტი
მწვრთნელი: ნილს არნე ეგენი
პორტუ: ოვჩინიკოვი, იბარა, ჟორჟე კოშტა, რიკარდუ კარვალიუ, მარიუ სილვა, ჟორჟე ანდრადე, ჟუნიორი (მარედესი 37), დეკო სოუზა, ნუნუ კაპუშუ (ალენიჩევი 90), პენა (პოსტიგა 84), კოშტინია
მწვრთნელი: ოქტავიუ მაჩადუ
მსაჯი: გრემ ბარბერი (ინგლისი)
20 007 მაყურებელი

## F ჯგუფი

### ფენერბაჰჩე 0:3 ბარსელონა

0:1 კლუივერტი (25), 0:2 ანდერსონი (28), 0:3 სავიოლა (66)
ფენერბაჰჩე: რუშთუ, ოგიუნი (მერიჩი 75), დოგანი, მირკოვიჩი, რაპაიჩი (ერისი 75), სერპათი (ოქთაი 46), რევივო, ოზატი, ლაზეტიჩი, აბდულა, ს. ჯონსონი
მწვრთნელი: მუსტაფა დენიზლი
ბარსელონა: ბონანო, პ. ანდერსონი, პუიოლი (გაბრი 69), ხავი, კოკუ, სერხი, კრისტენვალი, როჩემბაკი, ლუის ენრიკე (ფ. დე ბური 60), კლუივერტი, ჯოვანი (სავიოლა 57)
მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი
მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)
36 000 მაყურებელი

### ლიონი 0:1 ლევერკუზენი

0:1 კირსტენი (75)
ლიონი: კუპე, დეფლანდრე, ედმილსონი, ბრეშე, მიულერი, ვიოლო, ლეგლი (დელმოტი 79), კარიერი (ჟუნინიო 67), ფოე, გოვუ, ნე (ლუინდულა 61)
მწვრთნელი: ჟაკ სანტინი
ლევერკუზენი: ბუტი, იენს ნოვოტნი, პლასენტე, ლუსიო, ბასტურკი (ჟივკოვიჩი 80), ბალაკი, ბ. შნაიდერი, სებესკენი, რამელო, კირსტენი (ოჯიგვე 89), ნოივილი
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
გაძევება: ჟუნინიო (84)
მსაჯი: გრაციანო ჩეზარი (იტალია)
32 000 მაყურებელი

## G ჯგუფი

### დეპორტივო 2:2 ოლიმპიაკოსი

1:0 ფრანი (22), 1:1 იანაკოპულოსი (80), 1:2 ოფორი კუაე (82), 2:2 ვალერონი (90)
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, დონატო, ნაიბეტი, რომერო, მაურო სილვა, სერხიო (ვალერონი 84), ვიქტორი (სკალონი 37), პანდიანი, ფრანი, ტრისტანი (მაკაი 69)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
ოლიმპიაკოსი: ელეფთეროპულოსი, მავროგენიდისი, ბერმუდესი, ანატოლაკისი, ვენეტიდისი, იანაკოპულოსი, კარამზუ, ზე ელიასი, ჯორჯევიჩი, ზეტერბერგი (ოფორი კუაე 61), ჯოვანი (ამანატიდისი 84)
მწვრთნელი: პანაიოტის ლემონისი
მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)
22 000 მაყურებელი

### მანჩესტერი 1:0 ლილი

1:0 ბექჰემი (90)
მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი (სილვესტრი 12), ვ. ბრაუნი, ბლანი, ირვინი, კინი, ბექჰემი, ვერონი, სქოულზი, გიგზი (სოლსკიაერი 74), ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ლილი: უიმბე, ეკერი, სიგანი, ფაჰმი, ტაფორუ (მმიტცი 86), პიშო, დამიკო, შერუ (ბუტოილი 74), სტერიოვსკი (ოლუფადე 90), ნდიაე, ბაკარი
მწვრთნელი: ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი
მსაჯი: რენე ტემნიკი (ჰოლანდი)
64 827 მაყურებელი

## H ჯგუფი

### სპარტაკი 2:2 ფეიენოორდი

0:1 ბოსველტი (12), 0:2 ტომასონი (58), 1:2 რობსონი (62), 2:2 ბესჩასტნიხი (69)
სპარტაკი: კაბანოვი, კოვტუნი, მიტრესკი, ჩუისე (ანანკო 31), ბარანოვი, პარფიონოვი, ბულატოვი, ტიტოვი, ციხმეისტრუკი, ბესჩასტნიხი, რობსონი
მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი
ფეიენოორდი: ზოტებიერი, ემერტონი, ვან გობელი, დე ჰაანი, ბოსველტი, ჟასა, ვან გასტელი (დე ვისერი 67), პაუვე, კალუ (კოლენი 71), ტომასონი, ვან ჰოიდონკი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
მსაჯი: ხოსე ანტონიო ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)
30 000 მაყურებელი

### ბაიერნი 0:0 სპარტა

ბაიერნი: კანი, სანიოლი, კუფური, რ. კოვაჩი, ლიზარაზუ, სალიჰამიჯიჩი, სფორცა (ჰარგრივსი 46), ნ. კოვაჩი (პაულო სერჟიო 46), ფინკი, ელბერი (პიზარო 72), იანკერი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
სპარტა: ცეხი, გრიგერა, ჰუბშმანი, ირჟი ნოვოტნი, ლაბანტი, სიონკო, იაროშიკი, ჰაშეკი, მიხალიკი (ფლახბარტი 90), ჰარტიგი (ბაბნიკი 58, ზელენკა 90), კინჩლი
მწვრთნელი: იაროსლავ ჰრებიკი
მსაჯი: ლესლი ირვინი (ჩრდ. ირლანდია)
20 000 მაყურებელი

## უეფას თასი. პირველი ეტაპი

პირველი მატჩი

UEFA CUP

პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი) 0:0 რაპიდი (რუმინეთი)

## ინგლისი

### I დივიზიონი. VIII ტური

#### ბირმინგემი 2:3 ბარნსლი

0:1 ლიტლი (10), 1:1 ა. ჯონსონი (18), 1:2 იან მური (34), 2:2 ა. ჯონსონი (40), 2:3 ლიტლი (71)

#### კრიუ 0:4 უიმბლდონი

0:1 ბრაუნი (2), 0:2 კონოლი (65), 0:3 კუპერი (75), 0:4 ნილსენი (81)

#### კრისტალ პალასი 5:0 გრიმსბი

1:0 კიროვსკი (32), 2:0 პოპოვიჩი (39), 3:0, 4:0 ფრიდმანი (51, 65), 5:0 კ. მორისონი (90)

#### ჯილინგემი 2:3 ვულვერჰემპტონი

0:1 ბლეიქი (37), 0:2 მილერი (40), 1:2 იპუა (84), 1:3 ნიუტონი (90), 2:3 კინგი (90პ)
ვულვერჰემპტონი: ოუქსი, მუსკატი, ნეილორი, ბატლერი, ლესკოტი, რობინსონი, კენედი, ნიუტონი, კამერონი, მილერი (პრუდლოკი 74), ბლეიქი (რუსელი 89)
*თიმურ ქეცბაია* განაცხადში ვერ მოხვდა
მწვრთნელი: დეივიდ ჯოუნსი
მსაჯი: უოლტონი
8 966 მაყურებელი

#### მილუოლი 3:1 ბარნსლი

0:1 დიერი (39), 1:1, 2:1 კლარიჯი (69, 71), 3:1 ჩეპილი (80)

#### ნორვიჩი 3:1 უოტფორდი

1:0 რობერტსი (19), 2:0 ნიდერგაარდი (25), 2:1 ვეგა (42), 3:1 მაკეი (68)

#### სტოკპორტი 1:2 შეფილდ იუნაიტედი

0:1 ნიკოლსონი (29პ), 0:2 ნდლოვუ (33), 1:2 როგეტი (79პ)

#### უოლსოლი 0:0 პორტსმუთი

#### ვესტ ბრომვიჩი 2:0 პრესტონი

1:0, 2:0 დობი (27, 71)

### II დივიზიონი. VIII ტური

ბლექპული — ქუინზ პარკი 2:2; ბრენტფორდი — ბრისტოლი 2:2; ბრაიტონი — სტოკი 1:0; კარდიფი — ნორთჰემპტონი 2:0; ჩესტერფილდი — რექსჰემი 3:2; კოლჩესტერი — ოლდემი 2:1; პიტერბორო — ბორნმუთი 6:0; პორტ ვეილი — სუინდონი 0:2; რედინგი — კემბრიჯი 1:0; ტრანმერი — ნოტსი 4:2; უიგანი — ჰადერსფილდი 1:0. ბერი — უიკომბი გადაიდო




REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ლილი. ეს ის როგორც იქნა მომენტია, „მანჩესტერმა" ანუ დევიდ ბექჰემმა (ბურთით) ფრანგებს ძლივს რომ გაუტანა




REUTERS სტამბოლიდან

ფენერბაჰჩე — ბარსელონა. ხავიერ სავიოლას მეორე ლიგური გოლი „ბარსელონასთვის" ამ თამაშში მესამე გამოდგა




REUTERS მოსკოვიდან

სპარტაკი — ფეიენოორდი. ვლადიმირ ბესჩასტნიხის ამ დარტყმამ რუსებს ქულა შეუნარჩუნა

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას

ძვირფასო პრეზიდენტო და მეგობარო,

ეს წუთია შემატყობინეს ტრაგიკული ავარიის შესახებ, რომელმაც ქართული ფეხბურთის გიგანტის დავით ყიფიანის სიკვდილი გამოიწვია. მთელი საფეხბურთო სამყაროს და პირადად ჩემი სახელით ღრმა სამძიმარს გიცხადებთ. ის იყო სასწაული ფეხბურთელი, რომელიც დაეხმარა თბილისის „დინამოს" მსოფლიო საფეხბურთო რუკაზე ადგილის დასამკვიდრებლად. დღეს ჩემი ფიქრები თქვენთანაა, საქართველოში.

*პატივისცემით*
იოზეფ ბლატერი,
ფიფას პრეზიდენტი

## ყიფიანის ეპოქის დასასრული

დავით ყიფიანის ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ დამთავრდა ეპოქა, რომელსაც ყიფიანის ეპოქა ერქვა...

ბედნიერია, ვისაც ყიფიანი მინდორზე უნახავს, კიდევ უფრო დიდი სიხარული იყო მასთან მუშაობა, მე კი მთელი ჩემი საფეხბურთო ცხოვრება ფაქტობრივად ყიფიანთან გავატარე: ჯერ მწვრთნელი იყო და მისი შეგირდი ვიყავი, მერე „დინამოს" პრეზიდენტობისას მქონდა ბედნიერება მასთან მემუშავა, ახლაც ერთად ვიყავით...

საკუთარი თვალით ვიხილე და არ მჯერა, უფრო სწორად, არ მინდა დავიჯერო და ვერც დავიჯერებ — განა იყო ქვეყნად რაიმე ძალა, დავით ყიფიანს რომ მორეოდა?

გენიოსი, ვარსკვლავი, ავტორიტეტი, პროფესორი, მაესტრო, დირიჟორი, ბრძენი, გუნდის ტვინი — საოცარია, ყველა ეპითეტი როგორ უხდებოდა და თვითონაც როგორ უხდებოდა ეპითეტს...

მართლაც და რა ყოფილა დავით ყიფიანი ქართული ფეხბურთისთვის... ყიფიანი და სიკვდილი? რაღა იქნება ქართული ფეხბურთი უყიფიანოდ?

ქართული ფეხბურთი უკვდავი ფენომენია, ასევე უკვდავია დავით ყიფიანიც...

მერაბ ჟორდანია,
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი

ნოდარ ახალკაცის სახელობის საფეხბურთო სკოლა „ირაო" წუხს დავით ყიფიანის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს

## ინგლისი

### III დივიზიონი. VIII ტური

დარლინგტონი — ლეიტონი 3:0; სკანთორპი — სუონსი 2:2; როვერსი — საუთენდი 2:1; კარლაილი — იორკი 2:1; ჰალიფაქსი — მენსფილდი 1:0; ჰარტლპული — ჩელტენემი 0:1; ჰალი — როჩდეილი 3:1; ლუტონი — ლინკოლნი 1:1; ოქსფორდი — მაკლსფილდი 0:2; ექსეტერი — პლიმუთი 2:3; რაშდენი — ტორკი 0:0; შრიუსბერი — კიდერმინსტერი 4:0

## შოტლანდია

### I დივიზიონი. VII ტური

არბროთი — ეარი 3:2; კლაიდი — ერდრი 0:3; ფოლკირკი — პარტიკი 1:1; სენტ მირენი — როსი 1:0

### II დივიზიონი. VII ტური

ჰამილტონი — სტრანრარი 0:1

### III დივიზიონი. VII ტური

ალბიონი — ისტ სტირლინგი 0:4; ისტ ფაიფი — მონტროუზი 1:2. პიტერჰედი — ქუინზ პარკი და ბრეჩინი — ელგინი გადაიდო

## ჰოლანდია

### თასის II ეტაპი

სიტარდი — ვიტესი 2:1დ.დ. (1:1); ვენლო — დენ ჰააგი 2:0; დორდრეხტი — კამბური 3:2დ.დ. (2:2); როზენდალი — ვენენდაალი 3:0

საქართველოს 13 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი
7 ტური

# ნაღვლიანი და უსიხარულო

„სტუმრად ხუთი უპასუხო გოლით მოიგებ და მაინც არ გიხარია" — დაღონებული გახლდათ გუშინწინ „ლოკომოტივის" საყრდენი გელა ქორიძე.

„რა სიხარული, ხომ ხედავ, ხალხი რა დღეშია" — მხარი აუბა ძმაკაცს გიორგი ანჩაბაძემ.

...გუშინწინ საფეხბურთო საქართველოს სასიხარულო არაფერი ჰქონდა. ყველაფერი უცბად გაუფერულდა და ყველამ მოიწყინა. გუშინწინ ქართული ფეხბურთის ერთი დიდი ისტორია დასრულდა.

დავით ყიფიანი დაიღუპაო, ხმა უცბად გავრცელდა „თემურ სტეფანიაზე". იქ შეკრებილებს მომხდარის დაჯერება უჭირდათ. „სიონის" წაგებით აღგზნებული ბოლნისიც ერთიანად მოეშვა და დადუმდა. იმ წუთში ბევრი ნატრობდა, ნეტავ, ჭორი იყოსო.

მსგავსი ვითარება იყო „ეროვნულზეც". „დინამოს" დაუმარცხებელი „მერანის" ძლევა ჩაშხამდა. რესპუბლიკური საავადმყოფოსკენ იჩქაროდა დიდი და პატარა.

ოღონდ მართლა ჭორი ყოფილიყო და „ლოკომოტივი" თავის მოქნილ ტაქტიკას, „დინამო" კი დიდი ანგარიშით გამარჯვებას დაუფიქრებლად შეელეოდა, მაგრამ...

...წინა დღეს, კვირას, ყველაფერი კარგად იყო. „ტორპედო" დაუმარცხებლად სვლას განაგრძობდა, „ბათუმმა" „კოლხეთს" ათ წუთში ბოლო მოუღო. წარმატებული დებიუტი მოიწყო სოსო ფრუიძემ და „ვიტ ჯორჯიამაც" სამი ქულა იშოვა.

სამი დერბით გამოირჩა მეშვიდე ტური. ზღვისპირული, იმერული და თბილისური დაპირისპირებები გოლხვავრიელი გამოდგა.

ბათუმში „კოლხეთი" ვეტერანებმა დააჩოქეს. ტუღუშის მოედანზე გამოჩენამ და მაჭუტაძის გოლებმა წააზდინეს სტუმრები. დაცვაში უჭირს ფილიას გუნდს და მეორე ტაიმშიც ვერ ირჯებიან სათანადოდ. ბალაძემ კი ზუსტად წაიკითხა პირველი ტაიმის სცენარი, შესაცვლელიც დროულად შეცვალა და მისი „ბათუმი" შინ დღესაც დაუმარცხებელია.

ზესტაფონში მეზობელი იწვია სტუმრად „მეტალურგმა", ინერვიულა, მეტოქეც გვარიანად ანერვიულა, მოინდომა, მაგრამ „ტორპედოს" აბა, რაღას გამორჩებოდა. ტრავმები მისძალებიათ ძოძუაშვილის შეგირდებს. ზესტაფონში პარამონოვიც დაშავებულა.

„დინამომ" „მერანი" არ დაინდო. ავჭალელები ადრე თუ გვიან კი დამარცხდებოდნენ, მაგრამ ექვსი უპასუხო გოლი მაინც მეტისმეტი იყო. გასჭირვებია „მერანს". ფეხბურთელები კუთვნილს ამაოდ ელიან, ოთარ გაბელიამ კი გუნდი გაწვრთნას თუ ოჯახსმოკლებული სახსრებით მუხინი და მისნაირები დააპუროს, ვერ გაუგია.

მცხეთაში სტუმრად ნაწვევ „სამგურალს" ჯერჯერობით დაულაგებელმა და იტალიურ დიეტაზე მყოფმა „ვიტ ჯორჯიამ" ორი გოლი ამყოფინა. ბევრი კიდევ ვერ გაიტანეს ვეტერინარებმა, სამაგიეროდ, ერთი გაუშვეს და...

აგებდა „გურია" რუსთავში, ჩუმად იყო „გორდაც", მაგრამ სოსო ფრუიძემ ორი ისეთი ცვლილება მოახდინა, რომ რუსთაული კლუბი საკუთარ კანში ვერ დაეტია და აყვირდა.

დღეს ხუთასი ლარი რომ მქონოდა, თამაშს მოვიგებდიო, გაცხარებულა „გორდას" თავკაცობა. მსაჯს გადააბრალეს წაგება რუსთაველებმა. მე ის ვიცი, რომ არ არის მერაბ მალალურაძე ხუთი ასეული ლარისთვის თავის გამფუჭებელი კაცი. თამაში არ მინახავს, მაგრამ გუშინწინ დედაქალაქში ყველა სპეციალისტი ერთხმად აღნიშნავდა, მსაჯი „გორდას" ეხმარებოდა, თორემ არაფერი დაუკლიაო.

რაც შეეხება „გორდას" თავკაცთა განცხადებას, გუნდს გათამაშებიდან გავიყვანთო, ტყუილი ქადილი მგონია და მხოლოდ რუსთაული ფეხბურთისთვის საზიანო გადაწყვეტილება. გაიყვანენ გუნდს გათამაშებიდან და დააკლდებიან უმაღლეს ლიგას. დაობლდება ფეხბურთზე შეყვარებული რუსთაველი ქომაგი და საწუხარიც მათი იქნება, თორემ მერე, ცოტა ხანში „გორდაც" ბევრს აღარც გაახსენდება.

...მეშვიდე ტური 25 გოლით, სტუმარმასპინძლის სამ-სამი გამარჯვებით და არც ერთი ფრით. მეშვიდე ტური, გაუფერულებული, ცოტაც სკანდალური, უბედური და ნაღვლიანი დასასრულით.

**მამუკა კვანტალიანი**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 8 - აშვეთია | ტორპედო |
| 7 - ბობოხიძე | დინამო |
| 6 - წიფწიბაძე | კოლხეთი |
| 5 - მაჭუტაძე | ბათუმი |
| დათბაძე | ლოკომოტივი |
| 4 - გოგობერიშვილი | ვიტ ჯორჯია |


მეკარე რევაზ ნაჭყეპიამ ლადო ბურდულს (შუაში) არ გაატანინა, მაგრამ ექვსი გოლი მაინც გაუშვა

## სიმბოლური ნაკრები

დავით გოგიბერიძე ... — ლოკომოტივი; პაატა მაჭუტაძე — ბათუმი

ვიტალი დარასელია — დინამო; გიორგი ანჩაბაძე — ლოკომოტივი; ვიტალი დარჩიძე — ბათუმი; ლადო ბურდული — დინამო

გიორგი ბალაშვილი — ლოკომოტივი; გივი დიდავა — ტორპედო; კახა ცხადაძე — გურია; გიორგი მანწკავა — დინამო

დავით გვარამაძე — ტორპედო

გუნდი: დინამო

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 7 | 7 | 0 | 0 | 19:1 | 18 | 21 | 4 | 4 | 0 | 0 | 11:1 | 10 | 12 | 3 | 3 | 0 | 0 | 8:0 | 8 | 9 |
| 2 მერანი | 7 | 5 | 1 | 1 | 11:8 | 3 | 16 | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 9 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:7 | -2 | 7 |
| 3 ლოკომოტივი | 7 | 5 | 0 | 2 | 15:6 | 9 | 15 | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 6 | 9 | 4 | 2 | 0 | 2 | 7:4 | 3 | 6 |
| 4 ბათუმი | 7 | 4 | 1 | 2 | 11:5 | 6 | 13 | 4 | 4 | 0 | 0 | 10:2 | 8 | 12 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | -2 | 1 |
| 5 კოლხეთი | 7 | 4 | 0 | 3 | 16:12 | 4 | 12 | 4 | 4 | 0 | 0 | 14:3 | 11 | 12 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:9 | -7 | 0 |
| 6 დინამო | 7 | 3 | 1 | 3 | 16:7 | 9 | 10 | 3 | 2 | 1 | 0 | 13:2 | 11 | 7 | 4 | 1 | 0 | 3 | 3:5 | -2 | 3 |
| 7 ვიტ ჯორჯია | 7 | 3 | 1 | 3 | 10:9 | 1 | 10 | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 7 | 4 | 1 | 0 | 3 | 7:8 | -1 | 3 |
| 8 სამგურალი | 7 | 2 | 1 | 4 | 6:12 | -6 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 7 | 4 | 0 | 0 | 4 | 1:11 | -10 | 0 |
| 9 სიონი | 7 | 2 | 1 | 4 | 4:15 | -11 | 7 | 4 | 2 | 0 | 2 | 4:8 | -4 | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:7 | -7 | 1 |
| 10 გურია | 7 | 1 | 2 | 4 | 5:10 | -5 | 5 | 4 | 0 | 2 | 2 | 1:4 | -3 | 2 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | -2 | 3 |
| 11 გორდა | 7 | 1 | 1 | 5 | 6:17 | -11 | 4 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:10 | -6 | 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | -5 | 1 |
| 12 მეტალურგი | 7 | 0 | 1 | 6 | 2:19 | -17 | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:7 | -7 | 0 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:12 | -10 | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 6 | 6 | 0 | 0 | 21:1 | 18 |
| მილანი | 6 | 4 | 1 | 1 | 13:3 | 13 |
| ცხინვალი | 6 | 4 | 1 | 1 | 14:5 | 13 |
| ქობულეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 5:5 | 13 |
| ლოკომოტივი 3 | 6 | 2 | 2 | 2 | 7:9 | 8 |
| თსუ | 6 | 2 | 1 | 3 | 5:5 | 7 |
| ხობი | 6 | 1 | 4 | 1 | 4:6 | 7 |
| ლაზიკა | 6 | 2 | 1 | 3 | 6:12 | 7 |
| დინამო 2 | 6 | 2 | 0 | 4 | 5:9 | 6 |
| სამტრედია | 6 | 1 | 1 | 4 | 4:11 | 4 |
| მერანი 2 | 6 | 1 | 0 | 5 | 2:9 | 3 |
| თორი | 6 | 1 | 0 | 5 | 4:15 | 3 |

გორი
16 სექტემბერი
17.30 საათი
ძართლი
100 (ტევადობა 2 000)

### ცხინვალი 4:1 სამტრედია

0:1 ხურციძე (14), 1:1 ნასუაშვილი (44), 2:1 ეჯიოშვილი (47), 3:1 ტყემალაძე (52), 4:1 ეჯიოშვილი (67)
ცხინვალი: მდივანი, ხოხობაშვილი, ელისაშვილი, კობეშაშვილი, ტყემალაძე, მოსიაშვილი, სოშხიშვილი (აბულაძე 69), მარგიევი (ოლგესაშვილი 70), ნასუაშვილი, ეჯიოშვილი, ბოჭორაძე (ჩაჩიბაია 65)
სათადარიგონი: ქესანაშვილი; ვაჩლავაშვილი, წიქარიძე, მელანაშვილი
სამტრედია: ხარძეიშვილი, ლომინაშვილი, გოგია, თოდაძე, მალლაკელიძე, კიკაჩეიშვილი (ჩიგოგიძე 68), ყურულაშვილი, რუხაძე, კაცაძე (ლევარი მეგენეიშვილი 68), ხურციძე, ლევან მეგენეიშვილი (ფხაკაძე 63)
სათადარიგონი: თავაძე; ბახტაძე
გაფრთხილება: ნასუაშვილი (84)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ო. ხეცაძე, ა. ნონიკაშვილი; ა. კრიჭაშვილი (ყველა თბილისი)

თბილისი
16 სექტემბერი
17.30 საათი
დიღმის საწვრთნ. ბაზა
100 მაყურებელი

### მერანი 2 0:1 დინამო 2

0:1 მიქავა (74)
მერანი 2: თოდუა, ქითანავა, ჩხაიძე, კვანტალიანი, ადუაშვილი, ქალიაშვილი, გაბედავა (ჩერქეზოვი 63), მინჯია, ო. კუპრეიშვილი (ქირია 18), სილაგავა, სვანიძე (დ. იაკობიძე 46)
სათადარიგონი: გიორბელიძე; ი. თოლორდავა, ფირცხალაიშვილი, ქობალია
დინამო 2: მამალაძე, გოგოლაძე, ექონია, გუშარაშვილი, სახურია (მეგრელიშვილი 68), ბოჭორიშვილი, ბ. შელია, ი. გელაშვილი, ნაკანი (კვიციანი 63), ქარდავა (ხონელიძე 76), მიქავა
სათადარიგონი: გერგედავა; მუმლაძე, გოგუა, ებრალიძე
გაფრთხილება: კუპრეიშვილი (14), გაბედავა (15), შელია (17), მინჯია (68), ადუაშვილი (73)
მსაჯები: ი. კახიანი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ზ. დოლიძე; ა. მეშკოვი (ორივე თბილისი)

გორი
17 სექტემბერი
17.30 საათი
ცენტრალური
1 000 (ტევადობა 8 230)

### დილა 3:0 ხობი

1:0 გოჩაშვილი (48), 2:0, 3:0 ხმალაძე (57, 90)
დილა: სოლოღაშვილი, გ. ჩიტაია, ხაჭაპურიძე, ლომიძე, გოჩაშვილი, ბურნაძე (ხმალაძე 46), საყვარელიძე (ალ. ლაბაძე 76), ფეხუაშვილი, ბ. ჩიტაია, ხორგუაშვილი (გოგინაშვილი 83), მაისურაძე
სათადარიგონი: ილურიძე; მძინარიშვილი, გაგნიძე
ხობი: მ. ნაჟოფია, ვ. ჯამბურია, დანელია, ლ. ჯაბუა, ა. ფიფია, კ. ხურცილავა, ხაგალია, ჯიქია, აიანადი (ბერაია 84), ჭიჭინაძე (ალანია 86), როგავა
სათადარიგო: აბალაია
გაფრთხილება: ჭიჭინაძე (69), გოგინაშვილი (87)
მსაჯები: მ. მაისურაძე; კ. თბილელი, ვ. ელისაბედაშვილი (სამივე თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

საქართველოს 13 ჩემპიონატი
პირველი ლიგა ეტაპი
6 ტური

ხაშური
16 სექტემბერი
17.30 საათი
გრიგოლ ჭოგოვაძე
300 (ტევადობა 8 000)

### თორი 0:1 ლოკომოტივი 3

0:1 ბერელიძე (67)
თორი: ა. ლაბაძე, ცინაძე, ჭოხონელიძე, დ. ლეკიშვილი, სეფერთელაძე, ფირცხალავა, პ. მესხი, ტარიელაშვილი, ქარჩავა, ზარანდია, მ. ლეკიშვილი
სათადარიგონი: სულავა; ნამგალაძე, გოქაძე, ბურდული
ლოკომოტივი 3: ივარდავა, გოგნაძე, მანწკავა, გვარუციძე, სანაია (ტაბიძე 34), დემეტრაძე (სირბილაძე 53), ვლასოვი, სოსელია (კობერიძე 62), ლ. ხურცილავა, არუდაშვილი, ბერელიძე
სათადარიგონი: ა. ჯამბურია; სიამაშვილი, გაფაშელიძე, სურმავა
გაფრთხილება: ლაბაძე (22), გვარუციძე (54), ტაბიძე (88)
მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ი. აფციაური (დუშეთი), ე. ნარმანია (ტყვარჩელი); ლ. რაზმაძე (გორი)

მცხეთა
17 სექტემბერი
17.40 საათი
არმაზი
300 (ტევადობა 3 000)

### თსუ 1:3 მილანი

0:1 ნინუა (16), 0:2 ტოკლიკიშვილი (60), 1:2 ე. მერებაშვილი (71), 1:3 მედოევი (88)
თსუ: ქრიკიშვილი, დათუნაიშვილი, ქერაშვილი (ბ. ნოზაძე 61), ა. კუპრეიშვილი, ბერიანიძე, ჯობავა, შოშიაშვილი (ა. სოხაძე 33), ჩოხელი, ე. მერებაშვილი, მ. მესხი, ქუხილავა
სათადარიგონი: გუგუნავა; ლობჟანიძე, იაკობიძე, ეგაძე, ე. ჯოჯუა
მილანი: ძამუნაშვილი, გოლეთიანი (ე. გელაშვილი 88), ტარულაშვილი, მეტონიძე, ბარამიძე, ჩიტაური (თ. სამხარაძე 83), გველესიანი, მ. სამხარაძე, მედოევი, ტოკლიკიშვილი (ვარამაშვილი 61), ნინუა
სათადარიგონი: გრძელიძე; აბრამიშვილი, გაბრიჭიძე, პ. სოხაძე
გაფრთხილება: ქერაშვილი (15), გოლეთიანი (56), ბერიანიძე (84)
მსაჯები: კ. მესხი; ლ. კვარაცხელია, ზ. ერქვანია (სამივე ზუგდიდი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

ზუგდიდი
17 სექტემბერი
17.30 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 7 500)

### ლაზიკა 1:2 ქობულეთი

0:1 ყალიჩავა (39), 1:1 ო. გვაზავა (65), 1:2 თალაკვაძე (78)
ლაზიკა: ბულია (მ. კვარაცხელია 46), კვიტატიანი, გვაზავა, მებონია, დიდიძე, ქარდავა, კუპრავა (ლიპარტია 46), თოდუა, ბაკარანძე, რეხვიაშვილი, გვიჩია (ვ. ჯოჯუა 54)
სათადარიგონი: სუხია, გამსახურდია, ა. ნაჟოფია, ი. ფიფია
ქობულეთი: გოგუა, ოქროპირიძე, ლომთათიძე, გეგეშიძე, ანჯაფარიძე, თალაკვაძე, კვირკველია, ყალიჩავა, ბაკუნაიშვილი, ბერიძე (თედორაძე 87), კალანდაძე
სათადარიგონი: გაბუნია; ჩახუნაიშვილი, გოგმაჩიძე, კაკალაძე, ჯინჭარაძე, თაყაიშვილი
გაფრთხილება: კვიტატიანი (59), ბაკარანძე (59), მებონია (62), ყალიჩავა (78)
გაძევება: კვარაცხელია (59)
მსაჯები: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); მ. ნაკაიძე, ა. გუნთაძე (ორივე ლანჩხუთი); ზ. ანიაშვილი (გორი)

საქართველოს 13 ჩემპიონატი
რეგიონული ლიგა
4 ტური

### აღმოსავლეთი

IV ტური. მაუდი — მცხეთა 1:0; მრეტები — ივერია 1:3; მერანი 3 — დინამო 3 0:2; კრწანისი — ზოოვეტი 0:1; ჭაბუკიანი — ვიტ ჯორჯია 2 1:1; ჯავახი — ვარძია 1:3; მესხეთი — გორდა 2 1:0; ალაზანი — აკადემია 2:1; ცხუმი — ოლიმპიკი 0:0; თბილისი — ლიახვი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ივერია | 4 | 3 | 1 | 0 | 11:3 | 10 |
| ვარძია | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 10 |
| ალაზანი | 4 | 3 | 0 | 1 | 14:7 | 9 |
| ზოოვეტი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:0 | 9 |
| მცხეთა | 4 | 3 | 0 | 1 | 7:2 | 9 |
| ოლიმპიკი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:2 | 7 |
| აკადემია | 4 | 2 | 1 | 1 | 9:4 | 7 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 4 | 1 | 3 | 0 | 11:3 | 6 |
| ლიახვი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:6 | 6 |
| გორდა 2 | 4 | 1 | 2 | 1 | 9:2 | 5 |
| ცხუმი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:2 | 5 |
| თბილისი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 |
| მაუდი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| დინამო 3 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 3 |
| ჭაბუკიანი | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| მესხეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:10 | 3 |
| მრეტები | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |
| მერანი 3 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:11 | 1 |
| კრწანისი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:16 | 0 |
| ჯავახი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:23 | 0 |

# გადაიდო

დავით ყიფიანის გარდაცვალებამ მთელი ქართული საფეხბურთო სამყარო შეძრა. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ფეხბურთის ფედერაცია საქართველოს ჩემპიონატის უახლოესი ტურის მატჩებს გადადებდა. სფფ-მ გადადებულ ტურთა ახალი თარიღებიც გამოაცხადა. კერძოდ, უმაღლესი ლიგის მერვე ტური, რომელიც 22-23 სექტემბერს უნდა გამართულიყო, 25 სექტემბერს ჩატარდება, ხოლო 21 სექტემბერს გასამართი პირველი ლიგის მეშვიდე ტური 24-ში გადაიტანეს. ასევე გადაიდო საქართველოს თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩები, რომლებიც 26 სექტემბრის ნაცვლად 16 ოქტომბერს შედგება და აღმოსავლეთ რეგიონალლიგის შეხვედრები, რომლებიც 20-ის ნაცვლად 24 სექტემბერს გაიმართება.

**კახა შალამბერიძე**

*ორშაბათს ჩემი მოზარდობის ნაწილი დაილუპა. დაილუპა ის, რაც 1982 წლამდე, პირადად ჩემთვის, საბჭოთა კავშირში ცხოვრებას შესაძლებელს ხდიდა. დაილუპა ის სახე, რასაც ექვსი-შვიდი წლის განმავლობაში ტრიბუნიდან დაახლოებით კვირაში ერთხელ ვუყურებდი.*

*ადამიანი, რომელიც ქუჩაში დადიოდა და ჩემს ოცი-ოცდახუთი წლის წინანდელ მოგონებას დაატარებდა, აღარ არის და ამიერიდან ის მოგონება მარტომ უნდა ვატარო.*

*სწორედ იმ მოგონებას მივუძღვენი წერილი, რომელიც „სარბიელში" 1998 წლის 3 სექტემბერს დაიბეჭდა. ეს იყო საგაზეთო რუბრიკის, „ქართველები საბჭოთა კავშირის ნაკრებში" რიგით პირველი წერილი. მასში ის ემოციაა ჩაქსოვილი, რომელსაც მეორედ ველარ ჩავაქსოვ, ამიტომ ეს წერილი დღეს ხელმეორედაა მკითხველის წინაშე.*



1980 წლის 5 ნოემბერი. „დინამო" — „უოტფორდი" 4:0

# დიდი მეათე ნომერი

...მერე იყო 9 აპრილი, ომი, შიმშილი და სიბნელე. თბილისური კორპუსების წინ, კოცონებს შემორტყმული ადამიანები ზამთრის ცივ და მკვდარ საღამოებს მიაშტერდებოდნენ და ლაპარაკობდნენ, ლაპარაკობდნენ...

...ის დაუცხრილავთ... მერე მის ძმაკაცებს მკვლელი აუფეთქებიათ... იმის მეზობელი კაიფში გაპარულა... ამის ბიძაშვილი იმის საძმოშია, უკვე სამი „ტრუპი აქვს აკიდებული"... პურის რიგში ვიღაცამ ვიღაცას დაახალა...

და გადამალა გონებამ ის, რაც ადრე უმთავრესი იყო, რაზეც ათეულობით ათასები ფიქრობდნენ, რაც მათ ცხოვრებას ალამაზებდა. გაქრა წამი, როდესაც ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე, მოედნის ცენტრში ბურთს დათო მიიღებდა, სულ ცოტას დააყოვნებდა და უცბად სასწაულს ჩაიდენდა. სხვა ვერავინ მოიფიქრებდა, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ შეტევა შეიძლება ასეც გაგრძელდეს. ჰაერში აფრენილი ბურთი მოწინააღმდეგეებს გადმოსძახებდა აბა, თუ მიხვდებით, საით მივქრივარო და სიცილით კვდებოდა, როდესაც ხედავდა, როგორ ებმებოდათ სახეები, როგორ შემოიკრავდნენ თავში ხელს და თავქუდმოგლეჯილნი გარბოდნენ იქით, სადაც ველარ მიასწრებდნენ. და განა მარტო შემცბარ მოწინაალმდეგეს ეთამაშებოდა ბურთი? ის ტრიბუნებსაც გასცქეროდა ეშმაკური მზერით. სიამოვნებდა, რომ სანამ მინდორზე დაეშვებოდა, სუნთქვაშეკრული მაყურებელი უკვე ფეხზე იყო წამომხტარი. გრძნობდა, რომ თავიდან ვერც გულშემატკივარი მიმხვდარიყო მის გეზსა და იმ კაცის ჩანაფიქრს, რომელმაც მოედნის შუაში ფეხი ამოჰკრა.

მაშინ არავის აინტერესებდა, ვინ ვინ მოკლა. მაშინ დათოს პასი იყო მთავარი, პასი, რომელიც არავის აბოროტებდა, პირიქით, გაბოროტებულებს არიგებდა.

მაშინ ხალხი თამაშიდან თამაშამდე ფეხბურთით არსებობდა.

რა რიცხვია დღეს? ჩვიდმეტი. ნამდვილად? რა თქმა უნდა, ოცი ფეხბურთია, სამი დღე დარჩა.

ამ გაზაფხულზე ინგლისურ ჟურნალ „ტოტალ ფუტბოლს" ვათვალიერებდი. მსოფლიოს ჩემპიონატის წინ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მიშელ პლატინის უშველებელი ინტერვიუ იყო გამოქვეყნებული. საუბარი ძირითადად საფრანგეთში სტადიონების მზადყოფნას, ბილეთების განაწილებას, შემოსავალსა და გასავალს ეხებოდა, თუმცა აქა-იქ ისეთი კითხვებიც იყო, მაესტროს თამაშზეც რომ ათქმევინა ორიოდ სიტყვა. ერთ-ერთ კითხვაზე პლატინი პასუხობდა: სადღა არიან ახლა დიდი ათი ნომრები. აი, ჩვენ დროს...

ო, პლატინის დროს სხვას რომ თავი დავანებოთ, თავად პლატინი თამაშობდა. ფეხბურთელი, რომელსაც განსაკუთრებული ხიბლი ჰქონდა. ის ეპოქა სწორედ დიდი ათი ნომრებისა გახლდათ და მადლობა უფალს, ჩვენც გვყავდა ჩვენი გამორჩეული ნომერი ათი.

რა დრო გასულა?! დღეს 1998 წელია. დავით ყიფიანის მოედნიდან წასვლის შემდეგ თექვსმეტჯერ შემოუვლია დედამიწას მზის გარშემო. ახლა ჩემს ირგვლივ ბევრი კარგი, საქმიანი ადამიანი ტრიალებს, თემებიც საერთო გვაქვს, ინტერესებიც, მაგრამ უცებ, თითქოს მეხი გავარდაო: ყიფიანის თამაში არ მახსოვს, მართლა ასე ძლიერი იყო? — შემეკითხება ხოლმე რომელიმე. მაშინ ვხვდები, რომ მართლაც სხვა ეპოქა დამდგარა და გეგონება ბერიკაცი ვიყო, მოყოლას ვიწყებ:

ყიფიანი როგორი ფეხბურთელი იყო, იცი? აი, წარმოიდგინე გამთამაშებელი, ოღონდ ისეთი კი არა, თავდამსხმელების უკან და ნახევარმცველების წინ რომ დარბის, ლამის დაცვიდან რომ იწყებს შეტევას. ხომ ყველამ ვიცით, რას აკეთებს გამთამაშებელი? ის შეტევის მიმართულებას ცვლის, ტემპს აწევს ან დაწევს, თავდამსხმელს პასს გადააწოდებს და ასე შემდეგ... ყიფიანიც ამასვე აკეთებდა, ოღონდ ისე, რომ... კაცმა არ იცის, როგორ. ასე მგონია, ის ჩვეულებრივ პასებსაც მოულოდნელად აწვდიდა, უფრო სწორედ ჩვეულებრივ პასებს არასდროს აწვდიდა. ხომ გინახავს კარგი გადაცემა? ჰოდა, კარგი გადაცემა მხოლოდ და მხოლოდ კარგი გადაცემაა და მეტი არაფერი, ყიფიანის შესრულებით კი პასი სულ სხვანაირი იყო. იმას კარგს ან ცუდს ვერ დაარქმევ, ასეთ კატეგორიას არ განეკუთვნება.

ამდაგვარს ბევრს რომ ვიტყვი, მერე ვჩერდები. თანამოსაუბრეს თვალებში შევხედავ და ვატყობ, რომ სჯერა, მაგრამ ვერ მიმხვდარა, ვერ წარმოუდგენია. ვგრძნობ, რომ სანამ დროა, უნდა გავჩერდე, ვინაიდან ცოტაც თუ გავაგრძელე, შესაძლოა მეზღაპრედ შემრაცხოს, ეს კი არ მინდა, რადგან მგონია, რომ ამით ყიფიანს გავუფუჭებ საქმეს. კაცს ვაფიქრებინებ, ლეგენდებს უთხზავსო. ამიტომაც მოკლედ მოვჭრი ხოლმე:

— აღწერა შეუძლებელია. ის ძალიან დიდი ფეხბურთელი იყო.

სწორედ ესაა ჭეშმარიტება. სიტყვამ კი შეუძლებელია გადმოსცეს და გააცოცხლოს წამი, როდესაც ყიფიანი მოედნის ცენტრში ბურთს იღებდა.

...დღეს პრაგმატიკოსთა დროებაა, ყველაფერი რიცხვებით უნდა გამოისახოს. მაშ, ყიფიანი დიდი ფეხბურთელი იყო? საერთაშორისო მასშტაბის? აბა, რა ტიტულები აქვს? რამდენი თასი მოუგია ევროპაში? ერთხელ თასების თასი? დი ლივიოს ექვსი თასი აქვს მოგებული: უეფას, ჩემპიონთა, საკონტინენტთაშორისო, ევროპის სუპერთასი, იტალიის თასი და სუპერთასი, პლუს მსოფლიოს ჩემპიონატზე უთამაშია და „სკუდეტოც" მოუპოვებია...

მაგრამ ყიფიანი ხომ „იუვენტუსში" არ იყო! აი, „სენტ ეტიენმა" პლატინი რომ გაყიდა, დათოს ყიდვა უნდოდა, შემიცვლისო, მაგრამ საბჭოთა კავშირის დროს ხომ იცი...

— იანოვსკიში „პარი სენ ჟერმენმა" მილიონები გადაიხადა — გიპასუხებს ურწმუნო.

თუმცა ურწმუნოსთან საუბარი არ ღირს. ის ცოდოა, რადგან დაჯერება არ შეუძლია და კიდევ იმიტომ არის ცოდო, რომ ყიფიანის თამაში არ უნახავს.

მაშინ ნიჭი რიცხვებით არ იზომებოდა, დათოს თამაშს კი უფრო სხვანაირად აღიქვამდნენ, აბა, რატომაა გალაქტიონის „ლურჯა ცხენები" უჩვეულო ლექსი? იმიტომ, რომ მასში ამდენი ასეთი რითმაა, იმდენი ისეთი, ამ სიტყვას ის ენაცვლება, იმ სიტყვას ეს, შემასმენელი აქეთ წერია და ქვემდებარე, იქით? არა, ბატონო, „ლურჯა ცხენები" იმიტომაა ასეთი, რომ... ასეთია. ბევრი გაწაფული პოეტი გამოგითლის კარგ ლექსებს, მაგრამ, ჰე, სად ის და სად „ლურჯა ცხენები".

უამრავმა ფეხბურთელმა იცის, როგორ გამართოს საყრდენი ფეხი, როგორ შეასრულოს მოჭრილი დარტყმა, საით უნდა გაიქცეს კუთხურის დროს, მაგრამ ჯადოქარი არაა. ყიფიანი კი იყო!

მხოლოდ რომანტიკოსადაც ნუ წარმოვიდგენთ ქართველთა დიდ მეათე ნომერს. მან და მისმა თაობამ ჩვენს ფეხბურთს ისეთი ტიტულები მოუტანეს, იქნებ მნიშვნელობით სხვათა მეათე ჩემპიონთა თასზე ნაკლები არც იყოს, რადგან ეს ჯებირის განგრევა გახლდათ.

რაო? საბჭოთა კავშირის ნაკრებში მუდმივად რად არ იწვევდნენო?

1982 წელია, ესპანეთში მსოფლიოს ჩემპიონატია გახურებული. საუცხოო ჩემპიონატი გამოდგა ესპანეთი 82. ჰოდა, სსრკ-ს ნაკრების ერთ-ერთი მატჩის დროს, მაშინ ცნობილი რუსი კომენტატორი ნიკოლაი ოზეროვი იური გავრილოვის ფერმკრთალი თამაშის ცქერისას კითხულობს, ნეტავ გავრილოვმა დირიჟორის ჯოხი სად დაკარგაო.

მგონი, თბილისის ყველა ბინიდან საშინელი ყვირილის ხმა გამოვარდა. ბოლო წლებში ასეთი ერთსულოვნება ახალ წელსაა ხოლმე, მთელი მოსახლეობა ცას ავტომატს რომ ესვრის.

გავრილოვის ჯოხი დიდხანს ეკერა პირზე მთელ საქართველოს. მოსკოვის „სპარტაკის" ეს ფეხბურთელი მაშინ ყიფიანს ამჯობინეს. იქ, სადაც ჩვენს დათოს უნდა გაებრწყინა, გავრილოვმა ვერ ივარგა, მაშინ, როდესაც, დათოს პასებს ხალხი უნდა აელაპარაკებინა, მსოფლიო გავრილოვს უსახურ ფეხბურთს უყურებდა.

არადა, განა იური გავრილოვი ასეთი ცუდი ფეხბურთელი იყო? სულაც არა, ის უბრალოდ ჯადოქარი არ გახლდათ. დავით ყიფიანისთვის კი დიახაც ალალი იქნებოდა მსოფლიოს პირველობაზე თავის გამოჩენა. მას ეს შეეძლო, ნიჭთან მეომრებს კი დიდი მეათე ნომრისთვის ასპარეზის დათმობა მართებდათ.

იმ წელიწადს ყიფიანმა ფეხბურთელის კარიერა დაასრულა. ის ჩემპიონატამდე ნაკრების შეკრებაზე ჰყავდათ. მაგრამ განაცხადში აღარ შეიყვანეს. მიზეზი: ერთი ხნით ადრე ტრავმა ჰქონდა. ასე ჩაიარა ქართველი ვარსკვლავის გარეშე მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთმა ულამაზესმა ჩემპიონატმა.

იმ წელიწადს, მის დაბადების დღეზე, 18 ნოემბერს, დავით ყიფიანისთვის გამოსათხოვარ შეხვედრაში ერთხელაც უნდა შეგვევლო თვალი. საოცარი, საშინელი, მშვენიერი გრძნობაა, როდესაც შენს კერპს ბოლოჯერ უნდა შეხვდე, იცი, რომ მერე დიდ სიცარიელეს შეეჯახები და გინდა ერთხელაც მოახდინოს სასწაული, რომელიც არასდროს დაგავიწყდება.

როდისაა დათოს გაცილება? იცი, დათოს თვრამეტში აცილებენ?! ქალაქი ოვაციისთვის ემზადებოდა.

დათოს გაცილება არ შედგა. ნოემბრის დასაწყისში არსთა გამრიგეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ბრეჟნევმა მიაბარა სული. ყველაფერი აიკრძალა, მოისპო, გადაიდო...

მას მერე დედამიწამ მზეს თექვსმეტჯერ შემოუარა.

„დათოს ნაკრებში ძალად არ იწვევენ, ქართველი რომაა, იმიტომ" — ძალიან გავრცელებული აზრი გახლდათ ჩვენში. ერთხელ, მახსოვს, წაიყვანეს. უნგრეთში იყო თამაში. ტელევიზიითაც აჩვენეს. ნერვები მომეშალა, რადგან ყიფიანი სათადარიგოთა სკამზე დაესვათ. ხომ იცით, ამ დროს რა მოუსვენრობაც იპყრობს ადამიანს: იქნებ ახლა მაინც შეიყვანონ მოედანზე... დრო კი გადის, საათი წიკწიკებს.

და ვხედავ, საბჭოთა გუნდში ცვლილება მზადდება. ყიფიანი შეჰყავთ. გამიხარდა და დავიძაბე. უხ, ერთი სული მაქვს, დათომ კარგად ითამაშოს, დაანახოს ყველას, ვინაა ნაკრებში წასაყვანი, ხოლო ვინ დასატოვებელი. აი, ბლოხინი ფლანგიდან მაღალ პასს აწვდის, ყიფიანი ხტება და თავურით ბურთს ლურსმანივით აჭედებს კარში.

გოლ! მე იმ დღეს გამარჯვებული ვიყავი, რუსის კომენტატორები კი უხასიათოდ გახლდნენ — უნგრელებმა 2:1 მოიგეს. მახსოვს (თუ არ ვცდები, სხვა ცნობილი კომენტატორის ვლადიმირ მასლაჩენკოს) ნათქვამი: აი, მაგალითი იმისა, როგორ უნდა ჩააწოდო მაღალი პასი და როგორ უნდა გაიტანო თავური გოლი. ეს მონრეალის ოლიმპიადის (1976) მერე იყო, არგენტინის მსოფლიო პირველობის შესარჩევში.

მაინც, რატომ არ ბრწყინავდა დავით ყიფიანი საბჭოეთის ნაკრებში ისევე და იმდენ ხანს, როგორც თბილისის „დინამოში"?

ალბათ იმიტომ, რომ ყიფიანი ძალიან ქართველი ფეხბურთელი გახლდათ, დიდი, მაგრამ ქართველი მეათე ნომერი. იმიტომ, რომ სსრკ-ს ნაკრები მაინც რუსებისა იყო, გუნდი მათი ფილოსოფიით იგებდა და მასში უფრო კარგ ხელოსანს შეიყვანდნენ, ვიდრე ხელოვანს. ალბათ იმხანად საზღვრები ღია რომ ყოფილიყო, ყიფიანი ევროპის რომელიმე დიდ გუნდში გაითქვამდა სახელს, ხოლო საქართველოს დამოუკიდებელი ნაკრები რომ ჰყოლოდა, საფეხბურთო მსოფლიოს მისი გვარის გამოთქმაში დიდი და ხშირი მეცადინეობა მოუწევდა.

იმ დროისთვის კი რაც იყო, ეგ იყო და რაც იყო, დიდებული გახლდათ. საქართველო, ბატონებო, არც იტალიაა და არც ინგლისი, მაგრამ მან შეძლო იტალიისა და ინგლისის სტადიონებზე დიდი გუნდის გაყვანა, შეძლო წითელი საზღვრის გადაღმა გადახტომა და კონტინენტის ერთ-ერთი მთავარი ჯილდოს მოპოვება. ამას კი დიდი ნიჭი სჭირდებოდა, ისეთი, როგორითაც დავით ყიფიანი იყო დაჯილდოებული.

**ილია ბაბუნაშვილი**



1978 წლის 13 სექტემბერი. „დინამო" — „ნაპოლი" 2:0

გიო აზვლედიანის

## სვეტი

# 10

ცხრამეტი წლის წინათ, დავით ყიფიანი არ შეიყვანეს იმ საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში, ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატზე რომ მიემგზავრებოდა. ეს იყო მისი ბოლო სათამაშო სეზონი. წინა წელიწადს თბილისის „დინამომ" თასების თასი მოიგო, შემოდგომაზე კი ყიფიანს ტრავმა ჰქონდა. ამის გამო გულშემატკივრები ნერვიულობდნენ. ცხადია, ყველას უნდოდა, რომ ნაკრებში მიეწვიათ და ესპანეთში ეთამაშა. იანვარში წაიყვანეს კიდეც გაფართოებულ სანაკრებო შეკრებაზე, ასევე ესპანეთში, იქაურ მინდვრებს გასაზნევად. მახსოვს კადრი პროგრამა „ვრემიადან", როცა ის საგოლე პასს აწვდიდა ვილაცას, იმ შეკრებისას ჩატარებული ამხანაგური თამაშისას.

მერე ყველაფერი სხვაგვარად მოხდა და ყიფიანი ნაკრებში არ მიიწვიეს. 1982 წლის შემოდგომაზე თითქოს მისი გამოსათხოვარი მატჩიც უნდა შემდგარიყო, მაგრამ სწორედ იმ დღეებში ბრეჟნევი მოკვდა და მერე გაცილება ალარავის უხსენებია. თვითონ კი თქვა, ფეხბურთიდან ჩემი წასვლის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ტრავმებიაო. ტრავმები მართლაც ხშირი იყო. უმოწყალოდ ურტყამდნენ შინაც და გარეთაც, მაშინ წითელი ბარათების დღევანდელი სისტემა არ არსებობდა. მუხლისთავები სულ დასისხლიანებული ჰქონდა. მისი უკანასკნელი გოლი, რთული, ძალიან ტექნიკური საჯარიმო დარტყმა იყო, რომელიც ლვოვის „კარპატის" კარში გაიტანა. ასე მახსოვს. ეგებ ვცდები კიდეც, მაგრამ სწორედ იმ ხანებში იყო, როცა უკვე ესპანეთის ჩემპიონატზე ვლაპარაკობდით. იმიტომ მახსოვს, რომ გავიფიქრე კიდეც, პლატინისავით გაიტანა-მეთქი და ის ფიქრი დამამახსოვრდა.

ახლა არაფერს ვიტყვი მის იერზე, მის საფეხბურთო აზროვნებაზე, მის უზარმაზარ გავლენაზე და ინტელექტზე. ყველაზე მეტად მისი კარიერის ორი მონაკვეთი მიყვარს: 1980 წლის ზაფხულისპირა მატჩების სერია (იმხანად, მოკლე ხნით გუნდსაც კაპიტნობდა), რომელიც „დინამომ" ზედიზედ მოიგო და ყოველი გამარჯვება მისი იყო და 1981 წლის საგაზაფხულო სიგიჟე, როცა გუნდი მისი უპირობო ლიდერობით მიაბიჯებდა თასების თასისკენ და შიდა ჩემპიონატის ზღაპრულ თამაშებს ატარებდა თბილისში. მაშინ დავით ყიფიანს რამდენიმე გოლი აკლდა ასიანთა კლუბში შესვლამდე და თუ არ ვცდები, ზედიზედ გაიტანა 7-8 ბურთი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ყოველ თამაშში შეეძლო გატანა. იმ გაზაფხულზე შეაგდო, ჩემი აზრით, მის კარიერაში ულამაზესი გოლი თბილისში, „სპარტაკის" კარში. იმ თამაშში დუბლი შეასრულა, „დინამომ" 3:1 მოიგო, ყიფიანმა კი ფეხის წვერით, ახლო ცხრიანში გაუტანა დასაევს. ამ გოლთან ახლო იყო თავისი სილამაზით 1977 წლის ზაფხულში, თავსხმა წვიმაში ცსკა-სთვის გატანილი გოლი ასევე თბილისში, როცა „დინამო" 0:2 აგებდა, საბოლოოდ კი მისივე ძალისხმევით გადაარჩინა თამაში. ის შორეული დარტყმა, შორეულ ცხრიანში რომ ჩაჯდა, ახლაც თვალწინ მაქვს. მაშინ ათი წლის ვიყავი, ახლა ოცდათხუთმეტის ვარ.

და მერე გვკითხავენ, ვინ და რამ შეგაყვარა ფეხბურთი?

ფეხბურთის რაობას საბოლოოდ და მტკიცედ მაშინ ჩავწვდი, როცა „დინამომ" 4:1 მოიგო „აპტონ პარკზე". ის თამაშიც ყიფიანისა იყო, ისიც 1981 წლის გაზაფხულზე.

სწორედ ამ დღეებში ვფურცლავდი ძველ, იმ „ვესტ ჰემ" — „დინამოს" მატჩის პროგრამას. იქ ასე წერია: ის რომ დასავლეთის რომელიმე კლუბში თამაშობდეს, სუპერვარსკვლავი იქნებოდა.

ის იყო სუპერვარსკვლავი ერთ საზიზღარ, ჩაკეტილ, შიშიან, მღვრიე ქვეყანაში. მუხლები სულ სისხლიანი ჰქონდა და მინდორზე მდგომი გამოხატავდა იმას, რითაც ასე ვიწონებდით თავს იმ აუტანელი ქვეყნის ქართველები.

იერი, გონება, შემოქმედება.

და კიდევ ვლიზიანდებოდი, როცა საბჭოთა ნაკრებში მოხვედრილს ზოგჯერ ცხრანომრიან მაისურას მოარგებდნენ ხოლმე. ის ათიანი იყო. ყველაზე დიდი ქართველი ათიანი.

# ყიფიანი შეუდარებელი იყო...

„ვესტ ჰემი" თითქოს გააოცაო უბრწყინვალეს კინოვარსკვლავებთან შეხვედრამ, მაგრამ მათ შორის მართლაც იყო ერთი ტანადი, ულვაშებიანი და თმაშეთხელებული ვაჟკაცი, რომელიც ჭეშმარიტად იმსახურებდა ასეთ რეპუტაციას. ეს გახლდათ ყიფიანი, რომელიც თავისი მოხდენილი გრძელი ფეხებით „ეპტონ პარკში" ისე დააბიჯებდა, როგორც სოფლის სკოლის დირექტორი თავის სამფლობელოში...

*„ტაიმსი", 1981 წლის 5 მარტი*

„ამ დამარცხებაში „ვესტ ჰემს" ვერ დაადანაშაულებ. თბილისელებს, რომლებმაც შარშან „ლივერპული" დაამარცხეს, ჰყავთ უმაღლესი კლასის ფეხბურთელი, ტანმაღალი ნახევარმცველი დავით ყიფიანი, რომლის გამოცდილებამაც დაჩრდილა ტრევორ ბრუკინგი.

*„დეილი მირორი", 1981 წლის 5 მარტი*

„აშკარა იყო „დინამოს" უპირატესობა ტექნიკაში, ბურთის ფლობასა და თამაშის აგებაში. როცა ისინი განუმეორებელი ყიფიანის მეშვეობით მინდვრის ჭადრაკის თამაშს იწყებდნენ, „კარლ ცაისს" ისღა დარჩენოდა, რომ თავი დაეცვა".

*გიუნტერ ზიმონი. „დოიჩე შპორტეჰო", 1981 წლის 15 მაისი*

„კრაუზესა და ყიფიანის დუელში დიდი ხნის განმავლობაში „საყაიმო ანგარიში" იყო, მაგრამ 30 წლის დიპლომიანმა იურისტმა თანდათან თავი დააღწია უშუალო მეტოქის მარწუხებს და ისეთი არტისტული ფეხბურთი ითამაშა, საერთოდ მას რომ ახასიათებს..."

*„დი ნოიე ფუსბალვოხე" 1981 წლის 18 მაისი*

„თბილისელებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს. ყიფიანი შეუდარებელი იყო. მე მას დიდი ხანია ვიცნობ".

*ჰელმუტ შიონი. გფრ-ის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი. 1981 წლის 15 მაისი*

„დავით ყიფიანი ამჟამად ევროპის ფეხბურთის ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელია".

*„ნოიეს დოიჩლანდი", ბერლინი. 1981 წლის 14 მაისი*

„გაშვებული გოლის შემდეგ თბილისელთა დიდმა რეჟისორმა ყიფიანმა სწრაფად მოაწესრიგა თავისი გუნდის თამაში".

*„ვესტდოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი" 1981 წლის 14 მაისი*

„დინამოს" ჰყავდა მოთამაშე, რომელმაც ყველაფერი დაჩრდილა მინდორზე. იენელთა მწვრთნელმა ჰანს მაიერმა მშვენივრად იცოდა, რას აკეთებდა, როცა კრაუზეს სახით ყიფიანს დაუღალავი დარაჯი მიუყენა, მაგრამ თბილისელთა მესაჭემ და შესანიშნავმა ტექნიკოსმა კრაუზეს თამაშიდან არ გამოათიშინა თავი. ბოლო წუთზე მან ისეთი სილამაზის ილეთი ჩაატარა, რომ მაყურებელს დიდი ტაში მოწყვიტა.

*„რაინიშე პოსტი"*

ასე უბრალოდ? მიდის და მორჩა, და მას ვერასოდეს ვერ დავინახავთ მინდორზე? ვერც მის არტისტიზმს, ვერც ეშმაკობას, ვერც უცნაურ დარტყმებს, რომლის დროსაც მხოლოდ ბურთის გაფრენის ბოლო მომენტში მიხვდებით იმას, რაც მან დარტყმამდე იცოდა.

*იური როსტი. „ლიტერატურნაია გაზეტა" 1983 წლის 26 იანვარი*


ეროვნული ბიბლიოთეკა

### დავით ყიფიანი

დაიბადა 1951 წლის 18 ნოემბერს

#### მოთამაშის კარიერა

1968-70 წლებში თამაშობდა თბილისის „ლოკომოტივში".
1971-82 წლებში თამაშობდა თბილისის „დინამოში".
სსრკ ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 245 მატჩი, გაიტანა 78 ბურთი.
1978 წლის სსრკ ჩემპიონი.
1977 წლის ვერცხლის პრიზიორი.
1971, 72, 76 (გაზაფხული და შემოდგომა), 81 წლების ბრინჯაოს პრიზიორი.
1976, 79 წლებში სსრკ თასის მფლობელი.
1977 წლის სსრკ საუკეთესო ფეხბურთელი.
სსრკ-ს ნაკრებში ჩაატარა 19 მატჩი, გაიტანა 7 ბურთი.
1978, 82 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებისა და 1980 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების მონაწილე.
1981 წლის ევროპის თასების მფლობელთა თასის მფლობელი.
ევროთასებზე ჩაატარა 35 მატჩი, გაიტანა 10 ბურთი.
გრიგორი ფედოტოვის სახელობის ასიანთა კლუბის წევრი — 106 ბურთით.
1980 წელს ითამაშა ეუფას ნაკრებში ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ.
სსრკ 33 საუკეთესოს შორის 1977, 78 წლებში დასახელებული იყო პირველ ნომრად; 1976, 80, 81 წლებში მეორე ნომრად, ხოლო 1973, 75, 79 წლებში მესამე ნომრად.

#### სამწვრთნელო კარიერა

1984-85 (პირველი ნახევარი) წლებში თბილისის „დინამო"
1988 წელს თბილისის „ლოკომოტივი"
1988-დან (მეორე ნახევარი) 1991 წლამდე თბილისის „დინამო"
1992-94 წლებში კვიპროსის „ოლიმპიაკოსი"
1995-98 წლებში თბილისის „დინამო"
1997 წელს საქართველოს ნაკრები
1998 წელს რუსეთის „შინიკი"
1998-99 წლებში ბელგიის „რასინგ მეხელენი"
1999-2001 წლებში ქუთაისის „ტორპედო" და საქართველოს ნაკრები
საქართველოს შვიდგზის ჩემპიონი (1990, 91, 94-95, 95-96, 96-97 — დინამო; 1999-2000, 2000-01 — ტორპედო)
საქართველოს თასის ოთხგზის მფლობელი (1995, 96, 97 — დინამო; 2001 — ტორპედო)


1978 წლის 13 სექტემბერი. „დინამო" — „ნაპოლი" 2:0

ერთიანი ბიბლიოთეკა

# ეს ჩალაძე ვინ ყოფილა...

**ჩვეულებრივ,** ჩვენს მიმოხილვას „დიდი ოთხეულის“ ჩემპიონატების განხილვით ვიწყებთ ხოლმე, მაგრამ დღეს ტრადიციას გადავუხვიოთ და თავიდან ლატვიაზე ვთქვათ. მიზეზი ნამდვილად გვაქვს, იქაურები უკვე მესამე ტურია რიგის „სკონტოს“ ქართველ თავდამსხმელ დავით ჩალაძეს ველარ აჩერებენ. სამ მატჩში ექვსი გოლი მართლაც შთამბეჭდავი შედეგია. დათომ სამი „რიგას“ გაუტანა, ერთი „ვენტსპილსს“ და ორიც „დინაბურგს“...

| ტრელებორგი | 21 | 3 | 5 | 13 | 23:44 | 14 |

## ავსტრია

მე-10 ტური: ადმირა — ბრეგენცი 1:3; აუსტრია — ზალცბურგი 0:1; რიდი — კერნტენი 1:1; შტურმი — რაპიდი 1:1; ტიროლი — გრაცერი 7:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 8 | 6 | 2 | 0 | 19:0 | 20 |
| შტურმი | 9 | 6 | 2 | 1 | 19:7 | 20 |
| გრაცერი | 10 | 4 | 3 | 3 | 19:11 | 15 |
| აუსტრია | 10 | 3 | 5 | 2 | 15:13 | 14 |
| ზალცბურგი | 10 | 3 | 4 | 3 | 10:10 | 13 |
| რიდი | 10 | 2 | 5 | 3 | 17:17 | 11 |
| რაპიდი | 10 | 3 | 2 | 5 | 10:16 | 11 |
| კერნტენი | 9 | 3 | 2 | 4 | 8:15 | 11 |
| ადმირა | 10 | 2 | 1 | 7 | 8:21 | 7 |
| ბრეგენცი | 10 | 1 | 4 | 5 | 7:22 | 7 |

# ერთი სჯობს ორს

UEFA CUP

## რეინჯერსი დაღესტანში ჩასვლას გადარჩა

**„გლაზგო რეინჯერსი“** უეფას თასზე მახაჩყალის „ანჟისთან“ ერთ შეხვედრაში გაარკვევს ურთიერთობას — ასეთია უეფას გუშინდელი გადაწყვეტილება. ეს ერთადერთი შეხვედრა 27 სექტემბერს ნეიტრალურ მოედანზე გაიმართება.

მოგეხსენებათ, მეტოქეებს გამარჯვებულის ვინაობა ჩვეულებრივ, ორ მატჩში უნდა გაერკვიათ, ხოლო პირველი თამაში დაღესტანში უნდა გამართულიყო. მაგრამ „რეინჯერსმა“ იქ ჩასვლაზე უარი განაცხადა. უეფას თქმით, ნეიტრალურ მოედანთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება ბოლო 24 საათში ჩეჩნეთისა და დაღესტნის საზღვარზე გართულებულმა სამხედრო მდგომარეობამ განაპირობა. ამ ტერიტორიაზე რუსეთის ჯარები განლაგდნენ, ქალაქ გუდერმესს ჩეჩენთა რაზმებმა შეუტიეს.

გლაზგოელების განცხადებით, ისინი დაღესტანში არავითარ შემთხვევაში არ ჩავიდოდნენ, რადგან ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სახიფათო რეგიონში მოგზაურობა არ ურჩიათ.

„ჩვენ დიდი დაკვირვებით ვსწავლობდით ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილ მდგომარეობას, რომელიც ბოლო 24 საათის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუარესდა — განაცხადა უეფას გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა — გვწამს, რომ მატჩის ნეიტრალურ მოედანზე გადატანა ორივე კლუბისთვის ოპტიმალური გამოსავალია“.

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## აზია. II წრე

A ჯგუფი. IV ტური

**ტაილანდი 1:3 საუდის არაბეთი**

**ირანი 0:0 ბაჰრეინი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირანი | 4 | 2 | 2 | 0 | 4:1 | 8 |
| საუდეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ბაჰრეინი | 4 | 1 | 3 | 0 | 4:2 | 6 |
| ერაყი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:5 | 3 |
| ტაილანდი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:8 | 2 |

B ჯგუფი. IV ტური

**ჩინეთი 2:0 უზბეკეთი**

**ომანი 1:1 საამიროები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩინეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:1 | 10 |
| უზბეკეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:7 | 6 |
| ყატარი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 5 |
| საამიროები | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| ომანი | 4 | 0 | 2 | 2 | 1:8 | 2 |

## იტალია

სერია C1/A. III ტური

**პიზა 0:0 ლუკეზე**

## პოლონეთი

A ჯგუფი

მე-8 ტური: კატოვიცე — ოდრა 4:2; გურნიკი — პოლონია 0:0; ზაგლებე — ვიძევი 2:0; ვისლა — ოსტროვიცი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 8 | 5 | 1 | 2 | 17:8 | 16 |
| პოლონია | 8 | 3 | 4 | 1 | 14:8 | 13 |
| ზაგლებე | 8 | 4 | 1 | 3 | 12:10 | 13 |
| ოდრა | 8 | 4 | 1 | 3 | 13:12 | 13 |
| ოსტროვიცი | 8 | 3 | 2 | 3 | 9:7 | 11 |
| კატოვიცე | 8 | 3 | 2 | 3 | 12:15 | 11 |
| გურნიკი | 8 | 1 | 3 | 4 | 6:12 | 6 |
| ვიძევი | 8 | 2 | 0 | 6 | 5:16 | 6 |

B ჯგუფი

მე-8 ტური: გროცლინი — ამიცა 1:1; სტომილი — რუხი 0:1; ლეგია — შლიონსკი 3:4; პოგონი — რადომსკო 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამიცა | 8 | 5 | 3 | 0 | 16:8 | 18 |
| პოგონი | 8 | 4 | 3 | 1 | 10:7 | 15 |
| ლეგია | 8 | 4 | 1 | 3 | 20:10 | 13 |
| შლიონსკი | 8 | 3 | 2 | 3 | 14:13 | 11 |
| გროცლინი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:11 | 11 |
| რუხი | 8 | 2 | 2 | 4 | 6:14 | 8 |
| რადომსკო | 8 | 1 | 3 | 4 | 5:10 | 6 |
| სტომილი | 8 | 1 | 2 | 5 | 7:16 | 5 |

## თურქეთი

მე-5 ტური: ბეშიქთაში — ისთანბული 0:1; ბურსა — დიარბაქირი 2:1; ტრაბზონი — სამსუნი 1:2; გაზიანთეფი — რიზე 0:2; გიოზთეფე — ანკარაგიუჯიუ 2:1; გენჩლერბირლიგი — ქოჯაელი 2:2; ფენერბაჩე — იოზგათი 1:0; მალათია — გალათასარაი 0:2; ანთალია — დენიზლი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 5 | 4 | 1 | 0 | 12:5 | 13 |
| გიოზთეფე | 5 | 4 | 1 | 0 | 8:3 | 13 |
| ისთანბული | 5 | 4 | 1 | 0 | 4:0 | 13 |
| ფენერბაჰჩე | 5 | 3 | 1 | 1 | 11:5 | 10 |
| ტრაბზონი | 5 | 3 | 0 | 2 | 11:7 | 9 |
| ქოჯაელი | 5 | 2 | 3 | 0 | 10:6 | 9 |
| რიზე | 5 | 2 | 1 | 2 | 8:9 | 7 |
| იოზგათი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:10 | 7 |
| ანკარაგიუჯიუ | 5 | 2 | 0 | 3 | 18:12 | 6 |
| გენჩლერბირლიგი | 5 | 1 | 3 | 1 | 13:11 | 6 |
| გაზიანთეფსფორი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | 5 |
| ბეშიქთაში | 4 | 1 | 1 | 2 | 7:5 | 4 |
| დენიზლი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:4 | 4 |
| სამსუნი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |
| დიარბაქირი | 5 | 1 | 1 | 3 | 9:13 | 4 |
| ბურსა | 5 | 1 | 1 | 3 | 4:12 | 4 |
| ანთალია | 5 | 1 | 1 | 3 | 7:16 | 4 |
| მალათია | 5 | 0 | 0 | 5 | 0:14 | 0 |

# რას მოჩვით ძველებს?



ბადრი კეთილაძის ფოტო

კლოდ სორელი

***ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის პირველი ტურის მატჩის „ყოჩები“ — „დათვები“ მეორე ტაიმს საქართველოს ეროვნული და შვიდკაცა ნაკრებების მთავარი მწვრთნელი კლოდ სორელიც ადევნებდა თვალს. ბორჯღალოსანთა ფრანგი თავკაცი ერთხანს განმარტოვდა და ეულად უცქერდა შეხვედრას. ნამატჩევს საფრანგეთიდან სამი დღით ჩამოსულ კლოდ სორელს მის ვიზიტსა და სამომავლო გეგმებზე დავეკითხეთ. მიუხედავად იმისა, რომ სორელს ძალიან ეჩქარებოდა, მაინც შეყოვნდა და მცირე ინტერვიუზეც დაგვთანხმდა.***

**— რას დავუკავშიროთ თქვენი ჩამოსვლა საქართველოში?**

— კადეტთა ნაკრებია მოსამზადებელი. ჭაბუკთა ლიგის რამდენიმე მატჩს დავესწარი. სასურველი მორაგბეები შევარჩიე და თან ნაკრების წევრთა მზადყოფნა შევამოწმე. გარდა ამისა, უმაღლეს ლიგაში მოთამაშე რამდენიმე მორაგბე მინდა შევარჩიო. ვიცი, ბევრს აქვს პოტენციალი. თუ ვინმე მომეწონება, იქნებ საფრანგეთში გადავიყვანო და შემდეგ იგი ნაკრებშიც გამოგვადგეს.

**— თუ შეარჩიეთ ვინმე?**

— ჯერ არა. ძნელია, ერთი მატჩით იმსჯელო მორაგბეზე.

**— ნოემბერში საფრანგეთის „ა“ ნაკრებს ვხვდებით. ვინმე ახალი მორაგბის გამოჩენას ხომ არ უნდა ველოდოთ?**

— რატომ, ძველები არ მოგწონთ?

**— ხომ შეიძლება არაოფიციალურ მატჩში ახალბედა გამოცადოთ?**

— არა მგონია. მე უკვე შევარჩიე ის 22 კაცი, ვინც ნაკრების ხერხემალს წარმოადგენს. ცვლილებები არ იქნება.

**— მართალია, ძნელია ერთი მატჩით განსაზღვრა, მაგრამ თქვენი აზრით საქართველოს ჩემპიონატის დონე როგორია?**

— ვფიქრობ, წინ მივდივართ, ჭაბუკთა ლიგაშიც ნორმალური სიტუაციაა. ჭაბუკები სწორ რაგბის თამაშობენ. ძალიან კარგი თაობა მოდის. რაც შეეხება უმაღლეს ლიგას, აქაც არ არის ცუდად საქმე. გუნდები ტაქტიკურად გამართულ რაგბის თამაშობენ.

**— ბათუმის „დათვებს“ „ჰაინეკენის თასზე“ სურს ასპარეზობა. თქვენ რას ფიქრობთ?**

— ჩემი აზრით, ეს შეუძლებელია. რაც არ უნდა მყარად იყო ფინანსურად, ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც საქართველოა, ევროპის საკლუბო ელიტაში ანგარიშს არავინ გაუწევს. ეგ კი არა, უფრო ნაკლებად პრესტიჟულ ევროპის საკლუბო შეჯიბრებებშიც ძალიან ძნელია თამაში. ახლა მთავარია, ევროპის ქვეყნების კონფერენციაში მივიღოთ მონაწილეობა. ამაზე უკვე ვმუშაობთ. ვნახოთ, რა და როგორ იქნება. ყველა საფეხური ეტაპობრივად უნდა გაიაროთ.

**ბაჩო სვანიძე**

## ქართველი ლეგიონერები საფრანგეთში

| მორაგბე | კლუბი | ლიგა |
|---|---|---|
| ლევან ცაბაძე | კასტრი | ელიტ 1 |
| მევლუდ მთიულიშვილი | აჟანი | ელიტ 1 |
| თედო ზიბზიბაძე | ნარბონი | ელიტ 1 |
| გოდერძი შველიძე | ბეზიე | ელიტ 1 |
| ტარიელ რატიანიძე | ბეზიე | ელიტ 1 |
| გია ლაბაძე | ტულონი | ელიტ 2 |
| ბესიკ ხამაშურიძე | ტულონი | ელიტ 2 |
| აქვსენტი გიორგაძე | ტულონი | ელიტ 2 |
| ილია ზედგინიძე | ტულონი | ელიტ 2 |
| ირაკლი გიორგაძე | ტულონი* | ელიტ 2 |
| ანდრო ზედგინიძე | ტულონი* | ელიტ 2 |
| პალიკო ჯიმშელაძე | გრენობლი | ელიტ 2 |
| ვასილ კაცაძე | გრენობლი | ელიტ 2 |
| სოსო ნიკოლაენკო | რუმიი | ელიტ 2 |
| მამუკა მაგრაქველიძე | ოში | ელიტ 2 |
| გრეგუარ იაშვილი | მეტრო-რასინგი | ელიტ 2 |
| ვანო ნადირაძე | ბურგ ან ბრესი | ფედერალ 1 |
| კონსტანტინე ჯინჭარაძე | ბურგ ან ბრესი | ფედერალ 1 |
| დავით ბოლღაშვილი | მაზამე | ფედერალ 1 |
| მალხაზ ურჯუკაშვილი | მაზამე | ფედერალ 1 |
| სოსო ცუცქირიძე | ანგულემი | ფედერალ 1 |
| ბადრი ხეხელაშვილი | ანგულემი | ფედერალ 1 |
| სანდრო ესაკია | ანგულემი | ფედერალ 1 |
| გიორგი ჯორჯაძე | ლურდი | ფედერალ 1 |
| აკაკი სანაძე | ლურდი | ფედერალ 1 |
| ზურაბ მჭედლიშვილი | ალბი | ფედერალ 1 |
| გიორგი კუთარაშვილი | ალბი | ფედერალ 1 |
| ზვიად მათიაშვილი | კანი | ფედერალ 1 |
| ანგელი ალიბეგაშვილი | კანი | ფედერალ 1 |
| გაგა გურეშიძე | კანი | ფედერალ 1 |
| ბესიკ უდესიანი | კრეზო | ფედერალ 1 |
| სერგო გუჯარაიძე | კრეზო | ფედერალ 1 |
| ლევან ჯაველიძე | ნანტი | ფედერალ 1 |
| ილია მაისურაძე | ნანტი | ფედერალ 1 |
| დავით სორდია | ლონ ლე სონიე | ფედერალ 1 |
| ოთარ ელოშვილი | ლონ ლე სონიე | ფედერალ 1 |
| გიორგი წიკლაური | სენ ჟირონი | ფედერალ 1 |
| ლევან კობიაშვილი | სენ ჟირონი | ფედერალ 1 |
| ვიქტორ დიდებულიძე | ნიმი | ფედერალ 1 |
| დავით აშვეთია | ნიმი | ფედერალ 1 |
| შოთა მოდებაძე | ნიმი | ფედერალ 1 |
| თამაზ ჩადუნელი | ბორდო | ფედერალ 1 |
| დიმიტრი ხოჭოლავა | აგდი | ფედერალ 2 |
| ზვიად კიკუაშვილი | აგდი | ფედერალ 2 |
| გუჯა იოვაძე | აგდი | ფედერალ 2 |
| კახა მაჩიტიძე | ლაველანე | ფედერალ 2 |
| ნიკო ჭავჭავაძე | ლაველანე | ფედერალ 2 |
| არჩილ ქავთარაშვილი | ლაველანე | ფედერალ 2 |
| სანდრო მჭედლიშვილი | სენ ნაზერი | ფედერალ 2 |
| გიორგი ჩხაიძე | სენ ნაზერი | ფედერალ 2 |
| დავით ხინჩაგაშვილი | სენ ნაზერი | ფედერალ 2 |
| ზაზა ლეჟავა | ვიარზონი | ფედერალ 2 |
| ივანე სოხაძე | ვიარზონი | ფედერალ 2 |
| არჩილ ჭუმბურიძე | ვილფრანში | ფედერალ 2 |
| ავთო კოპალიანი | ვილფრანში | ფედერალ 2 |
| დავით ბარამიძე | ვილფრანში | ფედერალ 2 |
| ირაკლი აბუსერიძე | ვილფრანში | ფედერალ 2 |
| ნიკოლოზ იურინი | ლავერდაკი | ფედერალ 2 |
| ლადო ავლოხაშვილი | მარტიგი | ფედერალ 2 |
| დავით დადუნაშვილი | მარტიგი | ფედერალ 2 |
| ირაკლი მოდებაძე | ლილი | ფედერალ 2 |
| ირაკლი გუნდიშვილი | ლილი | ფედერალ 2 |
| კახა უჩავა | მასი | ფედერალ 2 |
| დავით ვართანიანი | ფისჟაკი | ფედერალ 2 |
| დავით ქირიკაშვილი | ანდორა | ფედერალ 3 |
| სოსო ჭელიძე | ანდორა | ფედერალ 3 |
| დავით ჯალალონია | ანდორა | ფედერალ 3 |
| გიორგი ძამიაშვილი | ანდორა | ფედერალ 3 |
| დავით ცხვედიანი | კარბონი | ფედერალ 3 |
| გიორგი კაჭარავა | ფოსინი | ფედერალ 3 |

* ახალგაზრდული გუნდი



ბადრი კეთილაძის ფოტო

ესენი ყველანი საფრანგეთში თამაშობენ



# უარი მინისტრ თარგამაძეს და კალათბურთელ ჯაფარიძეს

## ჩემპიონატი 13 ოქტომბერს, არჩევნები კი 2 ნოემბერს

**საქართველოს** ეროვნული ჩემპიონატის დაწყების თარიღი მეტად სპეციფიკურია იმით, რომ ყოველ წელიწადს უფრო და უფრო გვიანი შემოდგომისკენ გადაინაცვლებს ხოლმე. გამონაკლისი არც წლეულსაა, თუმც ამჯერად ამას ნაკლები მნიშვნელობა აქვს. მთავარია, რომ ქვეყნის პირველობა დაგვიანებით, მაგრამ მაინც იწყება და ეს 13 ოქტომბერს მოხდება.

ამაზე ცეკავშირის შენობაში ამ ორგანიზაციისა და კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, გოგი ქათამაძის კაბინეტში გამართულ აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე დიდი კამათის და სჯა-ბაასის შემდეგ შეთანხმდნენ. თავიდანვე ნათელი იყო, თუ რა იქნებოდა სადისკუსიო თემა. პრეზიდენტი რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად ჩემპიონატის დაწყების აუცილებლობაზე ქადაგებდა, ბავშვთა საკალათბურთო სკოლის დირექტორი მერაბ კეკელიძე კი, თავის მხრივ, ამის შეუძლებლობას ამტკიცებდა, რადგან მთავარ სარბიელს, ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზს, ელექტროენერგიის და წყლის 37-ათასიანი დავალიანება აქვს და ამჟამად ამ რესურსების გარეშეა დარჩენილი. ითქვა ისიც, რომ ფედერაციას ამ დავალიანების გადახდა არ შეუძლია, რადგან გუნდების მიერ ჩემპიონატში შეტანილი სამონაწილეო თანხები მთლიანად მსაჯების გასამრჯელოს ხმარდება. ხოლო რაკი ვერის დარბაზი მერიას ეკუთვნის, თანხაც მფლობელმა უნდა გაიღოსო.

ფინანსური პრობლემის მოგვარება გოგი ქათამაძემ აიღო თავის თავზე, მას ქალაქის მერ ზოდელავას დახმარების იმედი ჰქონია. ამის შემდეგ მეთერთმეტე ეროვნულის დასაწყისად ზემოთ ნახსენები თარიღი გამოცხადდა.

შედარებით ნაკლები იმსჯელეს მეთერთმეტე ჩემპიონატის დებულებაზე. თუ არ ჩავთვლით მცირე, სადისციპლინო და ორგანიზაციულ ცვლილებებს, ახალი დებულება წინამორბედისგან არაფრით განსხვავდება. ეს აღმასკომის სხდომის ბოლოს მოხდა, მანამდე კი არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს.

უახლოესი წარსულის ცნობილ ქართველ სპორტსმენს, საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ლერი ხაბელოვს აღმასკომის სხდომაზე მოსვლას ამ კომიტეტის წევრობის გარდა კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი აიძულებდა. ყოფილმა მოჭიდავემ ქართული კალათბურთის მამებთან ქვეყნის პირველი პოლიციელის თხოვნა მიიტანა. კახა თარგამაძეს, რომელიც ამავდროულად „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეა, საფეხბურთოსთან ერთად საკალათბურთო „დინამოს“ აღორძინებაც განუზრახავს და გუნდის ხერხემლად ფედერაციის დისციპლინართა მიერ შერისხული აზოტელი ირაკლი ჯაფარიძე შეუგულებია. შინაგან საქმეთა მინისტრს სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელ ირაკლი მეძმარიაშვილისთვის უთხოვია ამ საქმეში დახმარება. ამ უკანასკნელმა კი აღმასკომის სხდომაზე მისი წევრი და თავისი მოადგილე ლერი ხაბელოვი კახა თარგამაძის შუამდგომლობით მიავლინა. ლერი ხაბელოვის თქმით, მინისტრი თავის თავზე იღებდა ამ კალათბურთელის მორჯულებას და აღმასკომს თხოვნით მიმართავდა, იქნებ ჯაფარიძისთვის შეღავათი გაეწიათ და მისთვის თამაშის უფლება მიეცათ. მიუხედავად მთავრობის წევრის თხოვნისა, აღმასკომის წევრები ერთსულოვნად წინ აღუდგნენ ჯაფარიძის შეწყალებას. ყველაზე კატეგორიული კი მსაჯთა ასოციაციის თავმჯდომარე მურმან ქურიძე იყო: მან თქვა, იმისთვის, რაც ჯაფარიძემ ჩაიდინა, ორწლიანი დისკვალიფიკაცია ყველაზე ლმობიერი სასჯელია და თუ ამასაც მოვუხსნით, მაშინ ჯობს, არც ეროვნული ჩემპიონატი ჩავატაროთო. ერთადერთი შეღავათი, რისი გაწევაც აღმასკომმა ჯაფარიძისთვის შესაძლებლად ჩათვალა, ის იყო, რომ თუ იგი სათამაშოდ საზღვარგარეთ წავიდოდა, ფედერაცია ხელს არ შეუშლიდა. მაგრამ რადგან თარგამაძეს ჯაფარიძე „დინამოში“ სათამაშოდ უნდოდა, აღმასკომის ვერდიქტი ცალსახა იყო — უარი თარგამაძეს და ჯაფარიძეს. ამ მეტად საპასუხისმგებლო ნაბიჯის შემდეგ შეკრებილებმა კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების თარიღი დაადგინეს, რომელსაც უფლებამოსილება 3 ოქტომბერს გასდის.

არც ამ გადაწყვეტილების მიღებისას ყოფილა ერთსულოვნება. ერთნი ამტკიცებდნენ, ახალი სეზონი ახალ პრეზიდენტთან ერთად უნდა დაიწყოსო. მეორენი კი, პრეზიდენტისვე ჩათვლით, საწინააღმდეგოს ამბობდნენ. გოგი ქათამაძემ, 10-დან 20 ოქტომბრამდე საქართველოში არ ვიქნებიო, შემდეგ თბილისობააო და არჩევნების თარიღად 2 ნოემბერი დამტკიცდა. პრეზიდენტობის მსურველებს 20 სექტემბრიდან 20 ოქტომბრამდე აქვთ უფლება, წარადგინონ კანდიდატურები და თავიანთი პროგრამა აღმასკომის წევრებისგან შემდგარ საარჩევნო ჯგუფს გააცნონ. აღმასკომი არჩევნებამდე კიდევ ერთხელ, მომდევნო ორშაბათს შეიკრიბება და განსაზღვრავს, თუ რამდენ-რამდენი საარჩევნო მანდატი გამოუყოს იმ სპორტულ ორგანიზაციებს, საზოგადოებებს, კათედრებსა თუ კლუბებს, რომლებიც კალათბურთთან კავშირში არიან. სულ კი მანდატი 70 იქნება.

კიდევ ერთი გადაწყვეტილება, რომელიც აღმასკომმა, უფრო სწორად კი, გოგი ქათამაძემ მიიღო, ქართული კალათბურთისთვის მეტად მნიშვნელოვანია. მომავალი წლიდან ქართველ კადეტებს უწევთ ევროპულ სარბიელზე გამოსვლა, რომლის დაფინანსებაზეც სპორტის დეპარტამენტმა უარი განაცხადა. აღმასკომზე კი გადაწყდა, რომ ქართველი კადეტები ევროპის შესარჩევ ტურნირში ჩაებმებიან. ეს გოგი ქათამაძემ პირადი ინიციატივით გააკეთა, თუმც თვენახევარში პრეზიდენტის არჩევნებია.

**ირაკლი ბერტაია**


გეპატიჟებით საბილიარდოში!



უმაღლესი ხარისხის მაგიდები და მომსახურეობა

მუხიანის I მიკრორაიონი, კორპუსი 3ა ტელ.: 630660

# ქართული სენსაცია შანხაიში

## ირაკლი ლაბაძემ ანდრე აგასი იმსხვერპლა

**შანხაი (ჩინეთი). ჰაინეკენის თასი ჰარდი. საპრიზო 400 ათასი $**

შანხაის ტურნირის ორგანიზატორებს დიდი ამბიციები აქვთ, თვით სოლიდური მასტერსის სერიის ტურნირთა სიაში გარევას აპირებენ. მასტერსის სერია კი ოდენ დიდი სლემის ოთხ ტურნირს თუ ჩამოუვარდება. როდესაც ჩინელებმა შეიტყვეს, რომ ტურნირის ბოლო ორი წლის გამარჯვებული, შვედი მაგნუს ნორმანი ტრავმის გამო ვერ ეწვეოდათ, სასწრაფოდ შეეხმიანნენ ანდრე აგასის და „ჰაინეკენის თასის" გათამაშებაში მონაწილეობა სთხოვეს, მანაც დასტური უბოძა.

ხოტორა (თუ მელოტი) ლასვეგასელი ცხოვრებაში პირველად ჩავიდა ჩინეთში და მილიარდნახევრიანმა ქვეყანამაც ვარსკვლავი დიდი პომპეზურობით მიიღო. აგასიმ სურვილი გამოთქვა, ჩემპიონთა რბოლაში გუსტავო კუერტენის გადასწრება მინდა და ტურნირის მოგებასაც ვეშურებიო. ჩინელები მის სიტყვებს აღფრთოვანებულები ისმენდნენ და სასწრაფოდ ტაშიც შეაგებეს. საბოლოოდ კი ისე გამოვიდა, აგასიმ ტურნირი პირველივე წრეში მსოფლიოსთვის უცნობ ქართველთან წაგებით და ჩინელი მაყურებლის ლანძღვა-გინების თანხლებით დაასრულა.

ირაკლი ლაბაძესთან მატჩამდე აგასიმ დრო გამონახა და 21 წლის, 228-სანტიმეტრიანი კალათბურთის ამომავალი ვარსკვლავი იაო მინგი თუ მინგ იაო მოინახულა. შემდეგ ანდრე კორტზე გავიდა და იმ საქმის კეთებას მიჰყო ხელი, რაშიც დედამიწაზე ორიოდ კაცი თუ შეედრება. როგორც თავად თქვა ნამატჩევს, ცუდად არ უთამაშია, მაგრამ მეტოქემ აშკარად აჯობა.

აგასი სამართლიანად ითვლება მსოფლიოში უძლიერეს მიმღებად და ამის წყალობით რისხვად ევლინება კარგად მომწოდებლებს, მაგრამ ცაცია ლაბაძესთან არაფერი გამოუვიდა. ამერიკელმა ოთხი სეტპოინტი გაფლანგა, ორორი თითო სეტის მიწურულს, ყველა მეტოქის მოწოდებაზე. პირველი სეტის ბოლოს, 5:6 ანგარიშზე ირაკლი საკუთარ მოწოდებას 15:40 აგებდა, მაგრამ ისეთები ჩაუგდო მეტოქეს, სულ ცოფები აყრევინა. აგასიმ 6:6 ანგარიშზე ვერ მოითმინა და ჩოგანი კორტს უთავაზა, შემდეგ კი აღელვებულმა 4:7 წააგო ტაიბრეიკი და 0:1 ჩამორჩა სეტებში.

ლაბაძემ მერეც მისცა შანსი მრისხანე მეტოქეს. აგასი 5:4 იგებდა მეორე სეტს, მაგრამ ქართველმა მას ეისი მიართვა, შემდეგაც ბადესთან რიგიანად გაისარჯა და 5:5 გაათანაბრა, რამაც საბოლოოდ მოშალა მსოფლიოს მეორე ჩოგანი. აგასიმ წააგო საკუთარი მოწოდება და მეტოქისასაც ველარაფერი მოუხერხა.

ბოლო ქულის გათამაშების შემდეგ ქართველი ჩინეთის მიწაზე მუხლებით დაეცა და ორივე ხელი ზეალმართა, მერე საზეგაბადრული შერცხვენილ, სახედალრეჯილ ბრწყინვალებას ეახლა და ხელი ჩამოართვა.

მეორე წრეში გასვლით ირაკლი ლაბაძემ ექვსი ათას დოლარზე მეტი და სამი ქულა შეიმატა, რაც მას კარგა წინ წასწევს მსოფლიო კლასიფიკაციასა თუ ჩემპიონთა რბოლაში. მეორე წრეში ქართველი ტაილანდელ პარადორნ სრიჩაპჰანსა და ამერიკელ ჯასტინ გიმელსტობს შორის გამარჯვებულთან დაიჭერს საქმეს.

**ირაკლი ფირაშვილი**



ირაკლი ლაბაძისგან ძლეულ ანდრე აგასის შანხაის კორტზე მაისურის გამოცვლა აღარ მოუწევს

ავტორბოლა

**CART** მეთექვსმეტე ეტაპი. ლაუზიცის (გერმანია) დიდი პრიზი



სასწაული იქნება, თუ ალესანდრო ძანარდი ასეთ ავარიას გადაურჩა

# ლაუზიცრინგი — ძანარდის ბედისწერა

**კარტის** ისტორიაში პირველი ევროპული დიდი პრიზის გათამაშება კინაღამ ფატალური შედეგით დასრულდა. დრეზდენის მახლობლად, ლაუზიცის ახალგახსნილ „ოვალზე" რბოლისას არნახულ კატასტროფაში მოყვა ამერიკული ფორმულის ორგზის ჩემპიონი ალესანდრო ძანარდი.

ხუთასკილომეტრიანი მარათონის ფინიშამდე ცოტალა რჩებოდა, როცა ბოქსებიდან გამოსვლისას მას საჭე გაექცა, გზააბნეული „რეინარდ-ჰონდა" ბალახზე შეხტა, მერე კი ტრასაზე გარდიგარდმო დადგა. კანადელმა ალექს ტალიანიმ გვერდის აქცევა ვერ მოასწრო და მისი „რეინარდ-ფორდი" 320-კილომეტრიანი სიჩქარით შეასკდა იტალიელის ბოლიდს. საშინელი ძალის დარტყმამ ძანარდის მანქანა ორად გაგლიჯა.

დაშავებულები ვერტმფრენით ბერლინის კლინიკაში გააქანეს. ტალიანი შედარებით იოლად გადარჩა — მხოლოდ წელი დაიზიანა. ალესანდროს მდგომარეობა კი თავიდანვე კრიტიკული იყო. 34 წლის პილოტი, რომელსაც ქირურგებმა ორივე ფეხი მოკვეთეს, ჯერაც კომაშია და ვერავინ ამბობს, გადარჩება თუ არა. არადა, ძანარდიმ ეს ეტაპი საუცხოოდ წარმართა — ასე კარგად მას წლეულს არ ურბოლია. მართალია, სტარტი თითქმის ბოლოდან, 22-ე პოზიციიდან აიღო, მაგრამ თანდათან შეძლო ვითარების გამოსწორება და შუა დისტანციაზე მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა, ფინიშამდე ასიოდე კილომეტრით ადრე კი ქარავანს სათავეშიც მოექცა. რბოლის ბოლომდე 12 წრეღა იყო, როცა ის საბედისწერო შეტაკება მოხდა.

ტრასაზე დარჩენილმა მონაწილეებმა ფინიშის ხაზი პეისკარის თანხლებით გადაკვეთეს. გამარჯვება შვედ კენი ბრაკს დარჩა, რომელმაც წინა ეტაპზე დაკარგული ლიდერობა დაიბრუნა.

ეს ულტრათანამედროვე გერმანული ავტოდრომი ჯერ კიდევ ოფიციალურ გახსნამდე დაიწყევლა. აპრილში „ლაუზიცრინგზე" სპორტული „აუდის" გამოცდისას დაიღუპა ფორმულა 1-ის 1985 წლის ვიცე-ჩემპიონი, იტალიელი მიკელე ალბორეტო, ერთი კვირის თავზე კი ტესტირებისას დალეწილი მანქანის ნამტვრევებისგან გზის გაწმენდისას მეორე ბოლიდმა გაიტანა ალბორეტოს კბილა 43 წლის მარშალი.

**გია ახალაძე**

**რბოლის შედეგები**
**154 წრე — 501,3კმ**

1. კენი ბრაკი (შვედეთი, ლოლა-ფორდი) 2სთ; 20,946წ (247,1კმ/სთ საშუალო სიჩქარე); 2. მასიმილიანო პაპისი (იტალია, ლოლა-ფორდი) ჩამორჩა 0,156წამით; 3. პატრიკ კარპენტიე (კანადა, რეინარდ-ფორდი) 2,80; 4. მაიკლ ანდრეტი (აშშ, რეინარდ-ჰონდა) 4,70; 5. ორიოლ სერვია (ესპანეთი, ლოლა-ფორდი) 5,22; 6. ტორა ტაკაგი (იაპონია, რეინარდ-ტოიოტა) 6,41; 7. ტონი კანაანი (ბრაზილია, რეინარდ-ჰონდა) 6,65; 8. ჟილ დე ფერანი (ბრაზილია, რეინარდ-ჰონდა) 9,26; 9. სკოტ დიქსონი (ახალი ზელანდია, რეინარდ-ტოიოტა) 9,89; 10. პოლ ტრეისი (კანადა, რეინარდ-ჰონდა) 10,32; 11. ბრუნო ჟუნკეირა (ბრაზილია, ლოლა-ტოიოტა) 12,99; 12. ჰელიო კასტრონევეში (ბრაზილია, რეინარდ-ჰონდა) 14,93.

**საერთო ჩათვლა**

1. კენი ბრაკი 131 ქულა; 2. ჟილ დე ფერანი 120; 3. მაიკლ ანდრეტი 115; 4. ჰელიო კასტრონევეში 111; 5. სკოტ დიქსონი 86; 6. დარიო ფრანკიტი (შოტლანდია, რეინარდ-ჰონდა) 85; 7. პატრიკ კარპენტიე 83; 8. კრისტიანო და მატა (ბრაზილია, ლოლა-ტოიოტა) 78; 9. რობერტო მორენო (ბრაზილია, რეინარდ-ტოიოტა) 74; 10. ტონი კანაანი 72.

ჭიდაობა

# მსოფლიოს ჩემპიონატი გადაიდო

## ტერორისტებმა ქართველ მოჭიდავეებს შრომა წყალში ჩაუყარეს

**საქართველოს** ჭიდაობის ფედერაცია საგონებელშია ჩავარდნილი. მიზეზი ამ ერთი კვირის წინ ამერიკაში განხორციელებული ტერაქტებია. ნიუ იორკსა და ვაშინგტონზე ტერორისტების მიერ მიტანილმა იერიშებმა არა მარტო ამერიკელთა ცხოვრების რიტმი, არამედ სპორტულ ცხოვრებასაც თავისი კვალი დაატყო. თავდაყირა დადგა საერთაშორისო სპორტული კალენდარი, გადაიდო არაერთი ღონისძიება. არადა, ნიუ ორკში გასამართ ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეები რჩებოდა.

ყოველივე ამის გამო ბუნებრივად გაჩნდა კითხვა — რამდენად მართებული იქნება ნიუ იორკისთვის ამგვარი ღონისძიების მასპინძლობა, რადგან უსაფრთხოების ფაქტორი ძალიან დიდია. ეგ კი არა, რამდენიმე ქვეყანამ ამერიკაში გამგზავრებაზე ხელიც აიღო და მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლებს შეუთვალეს კიდეც, თქვენი დიდი ხათრი გვაქვს, მაგრამ ჩვენს სპორტსმენებს საფრთხის წინაშე ვერ დავაყენებთო. გამოჩნდნენ ის ქვეყნებიც, რომლებმაც მოჭიდავეთა უმთავრეს ასპარეზობას საკუთარი კედლები შესთავაზეს. მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორები კი ყველას სიმშვიდისკენ მოუწოდებდნენ, ნურაფრის შიში ნუ გექნებათ, ჩამობრძანდითო. ამ მეტად საჩოთირო ვითარებიდან გამოსასვლელად ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ (ფილა) ამ რამდენიმე დღის წინ ბიუროს საგანგებო სხდომა მოიწვია. ჭიდაობის მამებმაც იმსჯელეს და გადაწყვიტეს, რომ უმჯობესი იქნებოდა, მოვლენათა შემდგომ განვითარებას დალოდებოდნენ, მით უმეტეს, რომ ტრაგედიის მსხვერპლთა პატივისცემის ნიშნად ჩემპიონატის გადადების თხოვნით მათ ამერიკის ჭიდაობის ფედერაციამაც მიმართა. სავარაუდოდ კი ისაა ცნობილი, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფალავნებს ერთმანეთში ურთიერთობის გარკვევა ოქტომბრის ბოლოსა და ნოემბრის დასაწყისში მოუწევთ. ყოველ შემთხვევაში, ჩემპიონატის ჩატარების ზუსტ თარიღსა და ადგილს ფილა-ში სექტემბრის ბოლოს დაადგენენ. თუმცა, სავსებით შესაძლებელია მსოფლიოს 35-ე ჩემპიონატის მასპინძლობის პატივი ისევ ამერიკელებს დარჩათ. ამერიკის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი, წარსულში სახელგანთქმული მოჭიდავე, ოლიმპიური ჩემპიონი ბრიუს ბაუმგარტნერიც იმედიანადაა და აცხადებს, რომ ასპარეზობას აუცილებლად ამერიკა უმასპინძლებს, თანაც პირობას დებს, რომ ეს ისტორიაში საუკეთესო მსოფლიოს ჩემპიონატი იქნება.

ასეა თუ ისე, სექტემბრის ბოლომდე ჭიდაობის მოყვარულებს და თავად ფალავნებსაც ლოდინი მოუწევთ. თუმცა ამ მხრივ ყველაზე ცუდ დღეში სპორტსმენები არიან, რადგან კალენდრის იძულებით შეცვლა მათ მომზადებაზე უარყოფითად იმოქმედებს. მსოფლიოს ჩემპიონატისთვის შესაბამის კონდიციებამდე მისულ სპორტსმენებს ახლა ყველაფრის თავიდან დაწყება მოუწევთ. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოს ნაკრებია. მან ჩემპიონატის გადადების გამო ბორჯომში მიმდინარე შეკრებაც კი შეწყვიტა. შრომა წყალში ჩაეყარა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციასაც. მოგეხსენებათ, დღევანდელ მდგომარეობაში რამდენად რთულ პრობლემას წარმოადგენს ამა თუ იმ ასპარეზობისთვის აუცილებელი შეკრების მოწყობა. ახლა ისე გამოდის, რომ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციას თავიდან მოუწევს ხელახალი შეკრებისთვის აუცილებელი საკმაოდ სოლიდური თანხის, დაახლოებით 50 ათასი ლარის გამოძებნა. ერთი სიტყვით, რაც აქამდე გაკეთდა, წყალში გადაიყარა. მსოფლიოს ჩემპიონატამდე კი დაახლოებით თვენახევარია.

**გიგა გურასაშვილი**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ვუელტა 2001

# მეკობრე ტურისტობს

**მეშვიდე** ეტაპი ინდივიდუალური რბოლა იყო და ის კოლუმბიელი სანტიაგო ბოტეროს გამარჯვებით დასრულდა. ტორელავეგას გარშემო 44,2 კილომეტრის გავლას ბოტერომ ყველაზე ნაკლები დრო მოანდომა და საერთო ჩათვლის ლიდერის ოქროსფერი მაისურაც წაჰგვარა თანაგუნდელ ოსკარ სევილიას.

„გუშინ მისთვის შეტევის საშუალება არ უნდა მიგვეცა. შეიძლება ეს ძვირი დაგვიჯდეს" — თქვა პოდიუმზე ბოტეროს ხილვისას „ონსეს" ლიდერმა ანხელ კასერომ. კოლუმბიელი ამ ეტაპამდე სამი დღით ადრე ცოტა გაციებული იყო და პირველ მთიან ეტაპზე 3 წუთი და 16 წამიც წააგო, მაგრამ მერე დევიდ მილართან ერთად პელოტონს 58 წამი აართვა, მარტომ კი სევილიას წუთნახევრით აჯობა და პირველობაც დაათმობინა.

„ამ ინდივიდუალური რბოლის შემდეგ გაცილებით კარგ ხასიათზე ვართ. ბოტეროს გამარჯვება ჩემთვის დიდი მოულოდნელობა არ ყოფილა" — აღნიშნა „კელმეს" გახარებულმა მენეჯერმა ვისენტე ბელდამ, რომელმაც იმასაც გაუსვა ხაზი, რომ შარშანდელი ჩემპიონი და მერე „კელმედან" „პოსტალში" გადაბარგებული რობერტო ერასი ბოტერომ სამ წუთზე მეტით ჩამოიტოვა. ამიტომ ერასს საბოლოო გამარჯვება ძალიან გაუჭირდებაო, მაგრამ მისი ყოფილი გრეგარი სევილია, რომელიც ამჯერად თავადაც იბრძვის „ვუელტას" მოსაგებად, სხვა აზრისაა: „ის ყოველთვის შედარებით სუსტად გამოდის პირველ კვირაში, მაგრამ მე... ყველაზე სახიფათო მეტოქეა."

თუ ერასი, მერკადო და მაიო მაინც შედარებით ახლოს რჩებოდნენ ოქროსფერ მაისურასთან, ბევრი მთიელი ძალიან ჩამორჩა. მაგალითად, რობერტო ლაისეკამ და ფერნანდო ესკარტინმა 5 წუთზე მეტი დათმეს.

აღსანიშნავია, რომ ვეტერანებმა — აბრაამ ოლანომ (+13წთ 26წმ) და ალექს ცულემ (+25წთ 18წმ) ისე უხეიროდ ირბოლეს, შეიძლება ითქვას, მათი მზე უკვე საბოლოოდ ჩაესვენა.

მეორე მთიანი ეტაპი და ხოსე-მარია ხიმენესის წარმატებით დასრულდა. საერთო ჩათვლაში კი ხოსება ბელოკიმ გადაასწრო ყველას.

„ჩავა" ხიმენესმა შეტევა პირველი კატეგორიის სიძნელის მთის, დემანდას ძირშივე დაიწყო. მან ბელოკის 23 წამი მოუგო, მერკადოს კი — 28. „გუშინდელი ინდივიდუალური რბოლის შემდეგ ერთობ იმედგაცრუებული ვიყავი, რადგან ბოტეროთან ლამის წუთნახევარი დავთმე, სევილიას კი ოდენ 1 წამით ვაჯობე. სამაგიეროდ, დღეს მშვენიერ ხასიათზე ვარ" — თქვა „ტურ დე ფრანსის" ორგზის მესამეადგილოსანმა ბელოკიმ.

ბოლო დაბრკოლებამდე პელოტონს კელმელები კარნახობდნენ თავიანთ პირობებს. დემანდაზე კი სხვა გუნდებმაც გამოიღეს ხელი. ხიმენესმა ონსელი კარლოს სასტრის კომპანიაში შეუტია, რამაც მყის ჩამოტოვა უკან ოქროსფერმაისურიანი ბოტერო. სასტრმა ეტაპის მოგების ცდას თავისი ლიდერის დახმარება არჩია და მას დაელოდა. მერე ცოტა ხნის განმავლობაში დაწინაურებულების ჯგუფს ხიმენესი ედგა სათავეში და მის ტემპს ვეღარც სევილიამ გაუძლო, რომელსაც მალე ბევრი დაეწია. „არ ვიცი რა დამემართა. ძალიან ცუდად ვიგრძენი თავი. მერე კი შევძელი ძალების მოკრება, მაგრამ მაინც საკმაოდ დრო წავაგე (+1წთ 11წმ). თუმცა „ვუელტა" ჯერ არ დამთავრებულა და ბელოკისთან ამ მცირე ჩამორჩენის გაბათილება შეუძლებელი ნამდვილად არაა" — თავი დაიმშვიდა სევილიამ.

ტურნირის დასასრულამდე მართლაც ჯერ კიდევ ბევრი დროა და თან საერთო ჩათვლაში ისეთი სიმჭიდროვეა, შეიძლება, კიდევ ბევრჯერ შეიცვალოს ლიდერი.

მომდევნო ეტაპი ონსელი იგორ გონსალეს დე გალდეანოს გამარჯვებით დასრულდა, ოქროსფერი მაისურა კი მისმა თანაგუნდელმა ბელოკიმ შეინარჩუნა.

წლეულს „ტურზე" მეხუთე ადგილზე გასული დე გალდეანო ჩემპიონობისთვის ბრძოლას ფაქტობრივად გამოეთიშა და ამიტომაც მთელი ენერგია ახლა ეტაპების მოგებაზე მიმართა. კვირას გაუმართლა კიდეც. იგი პელოტონს ბოლო კილომეტრზე დაუსხლტა და ამ მცირედი ფორის შენარჩუნება გაჭირვებით, მაგრამ მოახერხა.

ამ მოგებით იგორ გონსალეს დე გალდეანო ისტორიაში შევიდა, როგორც „ვუელტას" ყველაზე სწრაფი ეტაპის გამარჯვებული. მისი საშუალო სიჩქარე 55,176 კმ/სთ იყო, რამაც 38 წლის წინ დამყარებული რეკორდი გააუმჯობესა.

შორეულ 1963 წელს ფრანგ ჟან სტაბლინსკის სარაგოსადან ლერიდამდე 144 კილომეტრი 51,556 კმ/სთ საშუალო სიჩქარით გაუვლია. დე გალდეანოს კვირას ის დაეხმარა, რომ გზის უმეტესი ნაწილი ოდნავი დაღმართი იყო და ლამის მთელი ეტაპის განმავლობაშიც ზურგქარი უბერავდა.

თანაგუნდელის პირველობა ბელოკისაც ერთობ გაუხარდა და მანაც ფინიში ხელებაწეულმა გადაკვეთა. ამის გარდა „ონსეს" ლიდერს ერთი კარგი ამბავიც ჰქონდა — „პოსტალის" სწრაფმა რბოლამ რამდენიმე ფავორიტს ასეთ იოლ ეტაპზე საკმაოდ წამები წააგებინა. მთავარი უიღბლო ფესტინელი დავიდ პლასა გამოდგა, რომელიც მეოთხედან მეშვიდე ადგილზე გადავარდა, რადგან ფინიშს 43 წამიანი დაგვიანებით უწია. პლასამ წარუმატებლობა ყელის ტკივილს დააბრალა.

დაბოლოს, ერთი პატარა კურიოზი. მარკო პანტანიმ ეტაპის გავლას გამარჯვებულზე 6 წუთითა და 43 წამით მეტი დრო მოანდომა ანუ თავისი ტურისტული (როგორც ესპანური პრესა წერს) რბოლა გააგრძელა. ორგანიზატორებს ეს ნამდვილად არ მოსწონთ, რადგან „მეკობრისგან" ბრძოლას ელოდნენ. შესაბამისად მისდამი კრიტიკულმა შენიშვნებმა იმატა და ზოგიერთი უკვე საერთოდ „მერკატონე უნოს" „ვუელტაზე" მიწვევასაც დიდ შეცდომად თვლის. „ვუელტას" ერთ-ერთი თავკაცი იმასაც ამბობს, რომ პანტანი და მისი თანაგუნდელები მოვალეობის მოხდის მიზნით ასპარეზობენ და მხოლოდ თავიანთი კონტრაქტების გაგრძელებაზე ფიქრობენო. არადა, ტურნირის დაწყებამდე 1998 წლის „ჯიროსა" და „ტურის" ჩემპიონი დიდად იქადნებოდა, აქ მოსაგებად ჩამოვედიო, მაგრამ ეს უბრალოდ „ბოლის დაყენება" ყოფილა. ისე, თუ ესპანეთის დათვალიერება უნდოდა, ჯობდა, რომელიმე ტურისტული ფირმისთვის მიემართა.

**ბაბი ბურული**

**მეშვიდე ეტაპი**

ტორელავეგა, ინდივიდუალური რბოლა, 44,კმ

1. სანტიაგო ბოტერო (კოლუმბია, კელმე) 55წთ 09წმ
2. ლევი ლეფჰაიმერი (აშშ, პოსტალი) +29წმ
3. დავიდ პლასა (ესპანეთი, ფესტინა) +44
4. ანხელ კასერო (ესპანეთი, ფესტინა) +1წთ 04
5. ხოსება ბელოკი (ესპანეთი, ონსე) +1წთ 26

**მერვე ეტაპი**

რეინოსა — კრუზ დე ლა დემანდა, 195 კმ

1. ხოსე-მარია ხიმენესი (ესპანეთი, ბანესტო) 4სთ 43წთ 02წმ
2. ხოსება ბელოკი (ესპანეთი, ონსე) +22
3. ხოსე მიგელ მერკადო (ესპანეთი, ბანესტო) +27
4. ლევი ლეფჰაიმერი (აშშ, პოსტალი) +29
5. რობერტო ლაისეკა (ესპანეთი, ესკალტელი) +29
6. მანუელ ბელტრანი (ესპანეთი, მაპეი) +46
7. იბან მაიო (ესპანეთი, ესკალტელი) +47
8. ინიგო კუესტა (ესპანეთი, კოფიდისი) +56
9. რობერტო ერასი (ესპანეთი, პოსტალი) +59
10. ანხელ კასერო (ესპანეთი, ფესტინა) +1წთ 01

**მეცხრე ეტაპი**

ლოგრონიესი — სარაგოსა, 179,2 კმ

1. იგორ გონსალეს დე გალდეანო (ესპანეთი, ონსე) 3სთ 14წთ 52წმ
2. სვენ ტეტენბერგი (გერმანია, ფესტინა)
3. ბიაჯიო კონტე (იტალია, საეკო)
4. სალვატორე კომესო (იტალია, საეკო)
5. დანილო ჰონდო (გერმანია, ტელეკომი) ყველას იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1. ხოსება ბელოკი (ესპანეთი, ონსე) 28სთ 21წთ 09წმ
2. ოსკარ სევილია (ესპანეთი, კელმე) +14
3. ანხელ კასერო (ესპანეთი, ფესტინა) +51
4. სანტიაგო ბოტერო (კოლუმბია, კელმე) +1წთ 28
5. ლევი ლეფჰაიმერი (აშშ, პოსტალი) +1წთ 54



დონ კიხოტის სამშობლოში ქარის წისქვილები დღესაც მრავლადაა



# კენიური რეპეტიცია ჩიკაგოს მარათონისთვის



პოლ ტერგატმა (შუაში) ზღვა ხალხს გაუსწრო

**ოქტომბერში** ჩიკაგოს პრესტიჟული მარათონი უნდა შედგეს, რისთვისაც ბევრი ცნობილი მემარათონე ემზადება. ძლიერ განთქმულმა პოლ ტერგატმა რეპეტიცია ნიუკასლში, „დიდ ჩრდილოურ რბოლაზე" გაიარა.

ესაა ნახევარმარათონი (42 კილომეტრისა და 195 მეტრის ნახევარი), რომელიც იწყება ნიუკასლში, გაივლის „ტაინ ბრიჯს", რაც მდინარე ტაინზე გადებული ხიდი გახლავთ და უწევს ზღვისპირა საუთ შილდსს, სადაც მთავრდება.

ამინდი იქაური ტრადიციისამებრ უხეირო იყო. ფინიშთან მაინც ქარმა იმძლავრა და სარეკორდო შედეგები გამორიცხა, სხვაფრივ კი პოლ ტერგატს წინააღმდეგობა თითქმის არ შეხვედრია, რბოლაც მთლიანად კენიური იყო. მაღალი კლასის მემარათონეები თავიდანვე გაექცნენ მთავარ მასას და მათ რიცხვში იყვნენ ესპანელები მარტინ ფიში და აბელ ანტონი. მარათონის ისტორიის ღრმად გამკვლავი ეს ევროპელები ნიუკასლში ბოლო გზას გარბოდნენ, ისინი მძლეოსნობიდან ერთად მიდიან.

ფიშმა და ანტონმა კილომეტრიდან კილომეტრამდე მზარდ კენიურ პრესინგს ცოტა ხანს გაუძლეს და მერე ჩამორჩნენ. უკვე მე-5 კილომეტრიდან ტერგატმა და კენიელმავე ჯულიუს კიმტაიმ გარღვევა განახორციელეს და როგორც გაირკვა, სამუდამოდ მოსწყდნენ მდევრებს, რომლებშიც ერია 10 ათას მეტრზე მსოფლიოს ჩემპიონი გეზაგნე აბერა ეთიოპიიდან.

დუელიც საკმაოდ მალე დასრულდა, დაახლოებით ტრასის შუაწელში, როცა ტერგატმა მეტი ენერგიით გაქუსლა, კიმტაის კი აჩქარების სურვილიც არ დასტყობია.

„ასეთ პირობებში კიდევ კარგი დრო ვუჩვენე — თქვა ფინიშზე 60 წუთსა და 30 წამში მისულმა ტერგატმა — რბოლა დიდებულად წამივიდა, აქ ბოლოს 1994 წელს ვიყავი და მომწონს, რომ წარმატებით დავბრუნდი. 1 საათში ჩატევაზე არ მიფიქრია, ახლა ჩემი სამიზნე ჩიკაგოს მარათონია".

შარშან ნიუკასლის ნახევარმარათონის მომგები ჯონ მუტაი მესამე ადგილზე ხანგრძლივი შრომისა და გაურკვევლობის შემდეგ გავიდა, ეთიოპი აბერა მას ზედ ფინიშამდე ეცილებოდა ყველაზე დაბალ საპრიზო ადგილს. მუტაი და აბერა გამარჯვებულს 2 წუთზე მეტით ჩამორჩნენ, კიმტაი — ერთით. მოკლედ, ტერგატის პირველობა სწორედ დამაჯერებელი გახლდათ და ასე კი არ იყო საქმე ქალთა გარბენში, სადაც ფინიშამდე ნახევარ კილომეტრში ჯერ კიდევ ვერავინ იტყოდა, ესა და ეს გაიმარჯვებსო.

პრინციპში, ორიდან ერთს უნდა მოეგო. ვაჟთა მსგავსად, კენიელმა მანდილოსნებმა — სუზან ჩეპკემეიმ და ჯოის ჩეპჩუმბამ თავიდანვე ლიდერობა იპყრეს და არც დაუთმიათ. ვერ ჩანდა ხასიათზე მათი მსოფლიოში საუკეთესო თვისტომი ტეგლა ლორუპე და ვეღარც ეთიოპმა დერარტუ ტულუმ მიამატა რამე ედმონტონში 10 ათას მეტრზე შეძენილ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს. ჩეპკემეი და ჩეპჩუბა კილომეტრიდან კილომეტრამდე სიჩქარეს უმატებდნენ და ბოლოს ტულუს 2 წუთზე მეტი მოუგეს. მე-5 მილი (კილომეტრი და 600 მეტრი) ჩეპკემეიმ 5 წუთსა და 14 წამში დაფარა, მეშვიდეზე სულაც 5.01 უჩვენა, მაგრამ ჩეპჩუმბა ვერაფრით მოიცილა. მხოლოდ ფინიშთან ჩეპკემეი საბოლოოდ გავარდა და დაღლილი ჩეპჩუმბა 5 წამით გვიან მივიდა ბოლოში.

ჟურნალისტებთან საუბრისას ჩეპკემეიმაც ამინდის სიმუხთლეზე ილაპარაკა.

**დავით გულუა**

**ვაჟები**

1. პოლ ტერგატი (კენია) 60.30; 2. ჯულიუს კიმტაი (კენია) 61.36; 3. ჯონ მუტაი (კენია) 62.44

**ქალები**

1. სუზან ჩეპკემეი (კენია) 68.40; 2. ჯოის ჩეპჩუმბა (კენია) 68.45; 3. დერარტუ ტულუ (ეთიოპია) 70.45

ყოველკვირეული გაზეთი
სარბიელი
თავის ფასში
ტელეფონით!
ხელმოწერა ვიტარებით 1 თვით, 2 თვით, 3 თვით, 6 თვით, 12 თვით.
98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97
ფოსტის ყუთები და
დამონტაჟება უფასოა!
„პრეს-მობილი"

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თითების ენა

სამხრეთ ამერიკაში გრძელდება ბოლივარული თამაშები. გუაიაკილში საპლაჟო ფრენბურთია გახურებული, ბოლივიელები ეკვადორელებს ეჯიბრებიან. ბოლივიელი ამალია კალვო საგანგებო ნიშნებით უჩვენებს კადრში ვერმოხვედრილ თანაგუნდელს ფაბიოლა მარტინესს, ბურთი ამ ხერხით მოაწოდეო. თითების ენა დიდად საჭირო რამ არის პლაჟის ფრენბურთში: მოწინააღმდეგე ხომ (ამ შემთხვევაში ეკვადორელი იზაბელა პარაგა) ვერაფერს ხედავს.



REUTERS



REUTERS

# ბორა არ ბერდება

ბორა მილუტინოვიჩს, განთქმულ სერბ მწვრთნელს, მეხუთე მსოფლიო ჩემპიონატი უძევს წინ. მის მიერ დამოძღვრილი ჩინეთის ნაკრები მტკიცედ მიაბიჯებს ფინალური ეტაპისკენ. ფეხბურთის მაგანი ჩინელი გულშემატკივარი ბორას სარეკლამო პლაკატს ეხვევა. იმედი უკვე ლამის რეალობაა, ჩინელები პირველად მოხვდებიან უდიდეს საფეხბურთო შეჯიბრებაზე. უბერებელი სერბი კი ერთადერთი მწვრთნელია, მეხუთედ რომ მიემგზავრება მსოფლიო ჩემპიონატზე და აქამდე რომ ოთხი სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ გუნდისთვის უხელმძღვანელია ამ შეჯიბრის ფინალურ ეტაპებზე.

# გორანის მარკა გორანის ხელში

ამასწინათ გატყობინებდით, რომ ხორვატიაში უიმბლდონის მომგებ გორან ივანიშევიჩის სახელობაზე საფოსტო მარკა გამოუშვეს. მარკა უკვე მიმოქცევაშია და თავად გორანი აგზავნის წერილს, რომელიც მისივე მარკითაა დამშვენებული. გორანის მარკა ორნახევარი კუნა ღირს, რაც ჩვენებურად 60 თეთრს უდრის.



REUTERS



REUTERS

# კვლავ იუგოსლავია



REUTERS

ეგებ იუგოსლავია ომებში მარცხდებოდეს, სპორტში კი წლეულს მაინც მთელი ევროპა დაიპყრო. იუგოსლაველები ჯერ წყალბურთში შეიქნენ კონტინენტის ჩემპიონები, აგერ, ერთი კვირის წინ კალათბურთში და ახლა კი ფრენბურთშიც არაფერი დათმეს, სამ პარტიაში დაამარცხეს იტალიელები და პირველობა ირგუნეს. ჩეხური ქალაქის ოსტრავას დარბაზში ივან მილკოვიჩი, გორან ვუჯევიჩი, დულა მეშტერი და გუნდის კაპიტანი ნიკოლა გრბიჩი ხარობენ.

# რამსიმაღლეა, არა?

ანდრე აგასი კაი მოსული ბიჭია, მაგრამ ყველაზე მაღალ ჩინელ კალათბურთელს იაო მინგს რას დაეტოლება. ამ იაო მინგის სიმაღლე 2 მეტრი და 24 სანტიმეტრია, აგასი კი შანხაიში მიმდინარე საჩოგბურთო ტურნირში უკვე აღარ მონაწილეობს, მას გუშინ ირაკლი ლაბაძემ აჯავრევინა გუდა-ნაბადი.


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge